

# ნენეპი

თბილისი  
ბაგრატიონის ქუჩა  
№19-20.

1940 წ.  
„კომუნისტური“ მხედრი  
ფასი: 2. მან.

თბილისი საბ. წიგნის ბანკი  
13/1  
თვ. და — 1940  
5 ცალი  
№ 17



ОБЯЗАТЕЛЬНЫЙ ПРИЕМЛЕР



სწორი პერაჩეა


ნახ. გ. თოდინა

„... იპონელების ახალი შეტევები შანსის პროვინციაში კვლავ დამარცხებით დამთავრდა“.

ბაზეთობიდან

მოსუცი კორესპონდენტი — უსათვალოდ ყველაფერს ბნელად ვხედავ და გაზეთებს ვერ ვკითხულობ, როგორ შიღის თქვენი საქმეები ჩინეთში?  
იპონელები მოვიდნენ: — ისე, როგორც ხედავთ.





ეს მოხდა სულ მცირე ჩაუგებრობის ნიადაგზე: ქლიაფირის სამმართველოში შევიდა კაცი. მას ხ ლში პორტფელი ეჭირა: ოდნავ შუბლშეკრული და დაფიქრებული იყო. მივიდა შ ვეიცართან და ჰკითხა:

— ეს ხომ ქლიაფირია?  
— დიად, ქლიაფირი გახლავთ.  
მიმსვლელი გაჩუმდა, შემდეგ ტაბელების დაფა, მიუბრუნდა და ცნობის-მოყვარეობით თვალთვლიდა დაუწყა.

— ერთი ეს მითხარი, გეთაყვა, რა გვარია მმარც ველი?— შევიკითხა ბოლოს იგი შევიცარს.

— მმართველის გვარი ოქროსნიდელი გახლავთ. მესულმა უბის წიგნაკი ამოიღო და ჩასწვრა.

— სახელი?  
— ვისი?— ცოტა შემფოთებით იკითხა შევიცარმა.  
— ოქროსნიდელის სახელი მაინტერესებს— თუ შეი ლება.

— ქსენაფონტე ჰქვია, ისე კი, შინაურებში ქსენო, ეძახიან. ისიც ჩაიწვრა:

— ეგები მამის სახელიც მითხრათ, — მიმართა მან მოკრძალებით.  
გამოკითხვის უცნაურმა კილომ საკმაოდ შეაშფოთა შევიცარი, თითქოს რაღაც საფრთხე იგრძნო ტაბელებისა და შესასვლელი კარების ფრთხილმა დარაჯმა.

— „ის არის, აშკარად ის არის“ — გაივლო მან გულში და უფრო მეტის სიფრთხილით დაუწყა საბასუხო სიტყვებს აწონ-დაწონა.

— დიად, მამის სახელს თუ მეტყვით, კარგი იქნება, — გაუმეორა მისულმა.  
— მამის სახელი? მგონია ობოლია და მამა არ უნდა ჰყავდეს.

— კი მარა, მე ხომ სახელს ვკითხულობ და არა მამას.  
— „ის არის, — უნდა ვაცნობო მდივანს, როგორც დამარცა“ — გაიფიქრა შევიცარი და დაბნეულად მიაგება სიტვა აზრებულ ცნობისმოყვარეს:

— კი, მარა, მამა თუ არ ყავს, მისი სახელი საიდანაა ექნება?  
უცხო კაცმა ულვაშებში ჩაიღიმა.

— როგორ, ვინც კვდება სახელი აღარ რჩება თუ?  
— რაფა არა, ვინც დიდი მოღვაწეა, სახელიც რჩება და გვარიც, მარა, ის უბრალო კაცი იყოვო ასე ამბობენ.

— მაინც რა ვერქვა?  
— თერაფონტე ჰქვია, ამბობენ.

უცხო კაცმა თერაფონტეს სახელიც ჩაიწვრა.  
— აქ არის თუ იცით ქსენაფონტე — თერაფონტიჩი? — შევიკითხა ბოლოს ის. შევიცარი მცირეხ შეყოყმანდა, შემდეგ რაღაც გადასწყვიტა და მიუგო:

— თუ შეიძლება, ერთ წუთს მომიტოვებთ, ახლავე შევიტყობ და მოგახსენებ. ამ სიტყვებზე მან სასწრაფოდ აიბრინა კიბეები და მდივანთან გაჩნდა.

— აბა ჩქარა, ინოკენტ ფანასკერტიჩი, მოახერხე რაცხა.  
— რა იყო?  
— მოვიდა?  
— ვინ მოვიდა?  
— ის, ვინცნასი რომ გეშინიათ ყველას.

— თქვი შე კაი კაცო, ვინ ის?  
— შეკაცო, ყოველთვის მარცებ, შრომის ინსპექტორი, ან პროკურორი თუ მოვიდეს დროზე მაცნობეთ და ახლა დაგავიწყდა თუ რა არის?

ინოკენტ ფანასკერტიჩის ფერი ეცვალა.  
— მართლა მოვიდა, ახლა აქაა?  
— აქაა, სულ სათითაოდ გადათვალე რა ტაბელები და მმართველის სახელი და მამის სახელიც იკითხა.

— თუ ძმა ხარ? არ დამკლა კაცი, რამენაირათ შეიქციე ცოტახანს, ვიდრე თანამშრომლებს მოვაროვებდე მაგიდებთან.

— რაფერ შევიტყობ? ძალიან ბრაზიანი კაცი ჩანს.  
— რაო, თვითონ თქვა შრომის ინსპექტორი ვარო?  
— უარესი, — სულ არაფერს ამბობს, მარა, როცა გამგის სახელს იწვრდა საეჭვოდ გაიღიმა.

— მაშ პროკურორი ყოფილა; ვაი შენს ინოკენტს თუ დროზე არ ვაცნობე მმართველს. ჩადი დაბლა, შეიყოლიე, ამინდზე დაუწყე ლაპარაკი, ან თვეტრების ახალ დადგებზე, აქ არ ამოვიდეს უცბად.

ინოკენტ ფანასკერტიჩმა თავქუდმოგლეჯით დაურბინა სამმართველოს ყველა განყოფილებას, გააფრთხილა ყველა თანამშრომელი, ტელეფონიც ამუშავდა, ბარათებიც გაიგზავნა — გამოიგზავნა, აფორიაქდა მთელი ქლიაფირი, ხოლო ვიდრე შევიცარი ამინდისა და სათეატრო სეზონის ამებზე ამოსწორავდა, ყველა თანამშრომელი უკვე თავის მაგიდასთან იჯდა და ქალაქლებს უკირკიტებდა.

— საქმიანი გამომეტყველება მიიღეთ ყველამ, ტემბოვანი ხასიათი მიეცით კალმის მოსმას, — არიგებდა ის მუშაკებს, როცა იმ უცხო კაცმა უკვე შეადო დირექტორის კაბინეტის გვერდით, მოსაცდელი ოთახის კარები.

— მოვიდა, — წასწურჩულეს მას.  
ეს „მოვიდა“ — მოელს სამმართველოს მოედო. ჩამოვარდა სიჩუმე, მხოლოდ კალმების წრიბინი, ქალაქების წრიალი და არიდომეტრის ჩხაკუნი ისმოდა.

— დაბრძანდით, ახლავე გახლებათ მმართველიც, — მოკრძალებით მიმართა მომედელს ინოკენტ ფანასკერტიჩმა, — საწყობში გახლავთ, პროდუქციის ხარისხს ამოწმებს.

— არაუშავს, დაეუცდი, — ჩაილულულა უცხო კაცმა.  
— თქვენ წარმოიდგინეთ, გარეგნულად თითქოს შეუარებობით ნაკლებ მნიშვნელობის დაწესებულებაა ქლიაფირი, მაგრამ თავის მუშაობით ის დიდ როლს თამაშობს, ეს შეგნებული გვაქვს და ძალღონეს არ ვხოგავთ მისი შემდგომი აღმავლობისათვის.

— არაუშავს, დაეუცდი, — ჩაილულულა უცხო კაცმა.  
— თქვენ წარმოიდგინეთ, გარეგნულად თითქოს შეუარებობით ნაკლებ მნიშვნელობის დაწესებულებაა ქლიაფირი, მაგრამ თავის მუშაობით ის დიდ როლს თამაშობს, ეს შეგნებული გვაქვს და ძალღონეს არ ვხოგავთ მისი შემდგომი აღმავლობისათვის.

— არაუშავს, დაეუცდი, — ჩაილულულა უცხო კაცმა.  
— თქვენ წარმოიდგინეთ, გარეგნულად თითქოს შეუარებობით ნაკლებ მნიშვნელობის დაწესებულებაა ქლიაფირი, მაგრამ თავის მუშაობით ის დიდ როლს თამაშობს, ეს შეგნებული გვაქვს და ძალღონეს არ ვხოგავთ მისი შემდგომი აღმავლობისათვის.

— არაუშავს, დაეუცდი, — ჩაილულულა უცხო კაცმა.  
— თქვენ წარმოიდგინეთ, გარეგნულად თითქოს შეუარებობით ნაკლებ მნიშვნელობის დაწესებულებაა ქლიაფირი, მაგრამ თავის მუშაობით ის დიდ როლს თამაშობს, ეს შეგნებული გვაქვს და ძალღონეს არ ვხოგავთ მისი შემდგომი აღმავლობისათვის.

— არაუშავს, დაეუცდი, — ჩაილულულა უცხო კაცმა.  
— თქვენ წარმოიდგინეთ, გარეგნულად თითქოს შეუარებობით ნაკლებ მნიშვნელობის დაწესებულებაა ქლიაფირი, მაგრამ თავის მუშაობით ის დიდ როლს თამაშობს, ეს შეგნებული გვაქვს და ძალღონეს არ ვხოგავთ მისი შემდგომი აღმავლობისათვის.

— არაუშავს, დაეუცდი, — ჩაილულულა უცხო კაცმა.  
— თქვენ წარმოიდგინეთ, გარეგნულად თითქოს შეუარებობით ნაკლებ მნიშვნელობის დაწესებულებაა ქლიაფირი, მაგრამ თავის მუშაობით ის დიდ როლს თამაშობს, ეს შეგნებული გვაქვს და ძალღონეს არ ვხოგავთ მისი შემდგომი აღმავლობისათვის.

უცხო კაცმა, თანხმობის ნიშნად გაიღიმა, ინოკენტმა ეს დაკინა და ჩასთვალა.

„ალბად გაგებული აქვს, რომ ქლიაფირში ოჯახური ატმოსფერო ნაკლებს, რომ თანამშრომლები სამუშაო საათებში სეირნობენ, მმართველ კი — ხან-სულაც არ ცხადდება დაწესებულებაში“. ნეტავი გადავრჩეთ ახლა სკანდალს, — ფიქრობდა ინოკენტი.

— ნ-და-ა! — ჩაილაპარაკა უცხო კაცმა.  
— დიად, — დაუდასტურა ინოკენტმა.  
— ამბობენ ქსენაფონტე თერაფონტიჩი გულკეთილი კაციო, —

— „სად ურტყამს, ირონიით ამბობს, — ყველაფერი გაგებული ჰქონია“ — გაიფიქრა ინოკენტი, ხოლო იმ საშინელი კაცის გასაგონად კი ტკბილად წარმოსთქვა:

— ოჯახში, საზოგადოებაში მართლაც იშვიათი გულკეთილია, რაც შეეხება საქმეს, აქ კი სასტიკი და დაუხოგავია, არც თავს იხოგავს, არც ჩვენ.

— ნ-და-ა! — გაიმეორა კვლავ უცხო კაცმა.  
— „ო, რა სასტიკი ირონიია!“ — გაივლო ისევ ინოკენტ ფანასკერტიჩმა გულში, „ნეტავი მმართველი თბილისში მაინც აღმოჩნდეს“.

ამასობაში ნახევარი საათი გავიდა და კორიდორში მმართველის ფეხის ხმაც გაისმა. ინოკენტი შეეგება მას და საქმის კურსში შეიყვანა.

— ძალიან მკაცრი სჩანს, — ისევ ფიქრი არ არის, ყველანი ადგილზე დაგხვდით, თქვენ კი საწყობში იყავით, პროდუქციის ხარისხს ამოწმებდით.

თითქოს მმართველის წაღებმაც კი იგრძნეს უსიამოვნების საფრთხე და კრაპა-კრუტი საქმიანი ნაბიჯის გამოძახებულ ბგერად აქციეს.

— მობრძანდით, — შაქრტკბილად მიიპატია ქსენაფონტემ უცხო კაცი თავის კაბინეტში.

— დაბრძანდით: არა, ხის სკამზე ნუ, აგერ სავარძელში ჩაბრძანდით, — ეხვეწებოდა ის თავაზიანად.

— ძალიან ბოდიშს ვინდი, იქნებ მიცადეთ, — საქმის გამო მცირე ხნით...  
— არა, რას ბრძანებთ, მე შემოდელიან დაცდა. დიდ ბოდიშს ვინდი რომ...  
— „მცდის“, გაიფიქრა ქსენაფონტემ, მაგრამ საბუთი მაინც არა აქვს.

— თქვენ, რა თქმა უნდა, საქმის გამო მობრძანდებოდით. —  
— დიად, თქვენს სამმართველოში... აქ პაუზა გააკეთა უცხო კაცმა და ჯიბეში ხელი ჩაიყო განცხადების ამოსაღებად

— ალბად პაპიროსს ექვით, — ნუ გაირჯებით, აგერ საუკეთესო ხარისხის პაპიროსს მოგართმევთ, — მიმართა ქსენაფონტემ და თან გახსნილი კოლოფი გაუწოდა.

— გმადლობთ, მე მხოლოდ... კვლავ სიტყვები გაუწედა უცხო კაცს და კიქას მისწვდა წყალის დასალგებად.

— ო, მოითმინეთ, ეგ ძველი წყალია, და ხარი, დარგვა.  
— ონოფრე, ამ წუთში სიტრო მთართვი სტუმარს, — მიმართა შემოსულ შიკრიკს.

უცხო კაცი უფრო დაიბნა.  
— მე მხოლოდ... იმის თხოვნა მინდოდა, — ნაწყვეტ-ნაწყვეტად წარმოსთქვა მან, — კალკულატორი გახლავართ, თუ შეიძლება სამუშაოზე მიმიღოთ.

— ჰა, რაო? — გაოცებით და გაბრაზებით წამოიყვრა ქსენაფონტემ და უცბად შეიცვალა. შეიცვალა მართლაც ქსენაფონტე თერაფონტიჩი კი არა, თვით გარემოც, ატმოსფეროც, კაბინეტის კუბატურაც. წარმოიდგინეთ მაგიდაზე დადგმულ სამელნე გარნიტურის ფიგურებმაც კი თვალები სწყიტეს, თითქოს ამბობდნენ, — ერთი ნახეთ, როგორი სითამაშე ჩაუდენია ამ უცხო კაცსო.

— დიად, კალკულატორი გახლავართ...  
— ეს სისაძაგლეა, — იღრიალა მმართველმა, — თქვენ შეცდომაში შეგყავთ მთელი დაწესებულება...

— გარწმუნებთ, ნამდვილად კალკულატორი გახლავართ...  
— სისაძაგლეც სწორედ ეგ არის, რომ კალკულატორი ხართ და თავს კი ისე ასალებთ, თითქოს ინსპექტორი იყოთ, გაბრძანდით დაუყოვნებლივ. — და ქსენაფონტემ მაგიდას მაგრად დაარტყა მუშტი.

ამ სცენის ფინალს შემოუსწრო მდივანმა ინოკენტ ფანასკერტიჩმა, რომე-ლიც მანამდე კარების ტუჭრუტანიდან უგდებდა ყურს კაბინეტში გამართულ სა-უბარს. მას მრისხანე სახე ჰქონდა და უცხო კაცს თითქმის გადაყლაპავს უპირებდა.

— არ გგმის? ნუღარ გვაკარგვინებ სამუშაო დროს, — დაუღრიალა მან კალკულატორს.

თავზარდაცმული უცხო კაცი შურდულივით გავარდა კაბინეტიდან და სანამ მესამე ქუჩა არ გალია, უკან არ მიუხედნია.

ქლიაფირში - კი, სადაც სამუშაო საათებს ალაც აქლიაფებენ, ისმოდა ქსენაფონტე-თერაფონტიჩის ქუხილი:

— რამ დაგბრძანავთ თვალები, კალკულატორსა და პროკურორს ერთმანეთისაგან ვერ არჩევთ? — რაზე ამიტხებთ ალიაქოთი ტყუილბერალოდ?





—სკანდალი მოხდა, სერ, ვილაც მოქალაქე მთელ ორ საათს დასტრიალებდა გარშემო იხვს, უალერსებდა, კოცნა მოუწადინა, ჩვენ სულელი გვეგონა, დავაპატიმრეთ, მაგრამ...

—მაგრამ რა!

—ჩვეულებრივი რამ, რეიტერის სააგენტოს თანამშრომელი აღმოჩნდა.





# ესტრადზე



ჩვენ პარტურში ვისხედით და ესტრადის მსახიობებს ვუსმენდით. ჩვენს ახლოს იჯდა პოეტის, რომელსაც საკუთარ ნაწარმოებთა თხზვა მომეზარებოდა და ახლა მოსულიყო სხვათა შემოქმედებით დასატკობად.

უკვე მოფუსმინეთ რამდენიმე მსახიობს და მეტად მდარე ხასიათზე დაედქით: მეტისმეტად ნაცნობი, თანაც მოძველებული და ამასთანავე, ნაწილობრივ საკმაოდ წუნდებულიც იყო ნომრები.

მეშვიდედ სცენაზე გამოვიდა კიდევ ერთი წყვილნახევარი. ისინი ქალ-ვაჟის ტროფობას ასცენიურებდნენ:

### 1-ლი ვაჟი:

— მე მიყვარხარ ეკვირინე, შემოგველოს გაბრეილი.

### მეორე ვაჟი:

აჩიელი, მარიელი, ნუ გამიმობ ცარიელი.

### ქალი:

თუ გინდათ, რომ შევიყვაროთ, მომიძღვენით ვარიები.

ჩვენი მეზობელი პოეტი შეიმშრებდა. რამდენიმე კაცმა თავი ჩაჰქინდრა. კვლავ გამოვიდა წყება, ახლა უკვე საერთაშორისო თემით, ლექსებით.

ინგლისმა და საფრანგეთმა მაჭახელა გატენა, დოუმინეს ერთმანეთსა: შეხე, ბიჭო, არტემა! იაპონიას ვინ არ იცნობს, სამურაობს, ჩალიჩობს, გუმინ დილით, ალიონზე, დავბატყე შალიკო.

აუდიტორია გაიტრუნა, აქა-იქ ნაღვლიანი ამოიხვრა გაისმა ერთმა მსმენელმა აღტაცებით სთქვა:

— ახლა კი მესმის რაზე ყოფილა ნათქვამი: „აბდა-უბდა, გადასკუპდაო“.

— ახლა ვამოვა სახელგანთქმული ანეკდოტისტი ანეგლო ტისტოძე, — გამოგვიცხადა კონფერანსიემ, — იგი იტყვის ახალ ანეკდოტებს.

მართლაც გამოვიდა მოესტრადე ანეგლო.

— გემოკვების სარტელის რესტორან „უგემურში“, უგემურად დაიწყო ანეგლომ. — შევიდა მთავარი ბუფეტური მჭამელადე. მას მენიუ მიუტანეს. ვინაიდან რუსული კარგად არ იცოდა, თითო დაადო მენიუს სიაზე და ლობიო მოუტანეს. იქვე, მეორე მაგიდაზე, ვინმე მოანგარიშე თქლაფიამვილი საკოლმეურნეო ვარიის მიერთმევდა. როცა გაათვა, „რეპეტეო“, დაიძახა. მას მეორე ვარია მოუტანეს. ბუფეტერმა მჭამელადემაც გაათვა ლობიო და თქლაფიამვილის მიბადვით „რეპეტეო“, დაიყვირა. იფიქრა, მეც ვარიას მომიტანენო. აუდიტორიაში მთქნარება ატყდა.

— დიახ... „რეპეტეო“ და ისევ ლობიო მოუტანეს. მჭამელადე წამოვიარდა, საჩივირის წიგნაკი მოითხოვა და ჩასწერა: „ეს აღმამოთებელიაო, მონგარიშის რეპეტე ვარიას, ჩემი რეპეტე კი — ლობიოაო?“.

— რა უგემოვნობაა, — გაისმა მაყურებლებში.

— ოფიციალის მხრივ, არა? — შეეცითხა ანეგლო.

— არა, თქვენის მხრივ, რომ ასეთ გაცვეთილ ანეკდოტს ახლად ასაღებთ...

ანეგლო დაუყოვნებლივ მიიმალა კულისებში. მის მაგივრად ახალი მსახიობი გამოვიდა.

— მაგის რეპერტუარში ორი ნომერია, — ჩუმად განმარტა ერთმა ჩვენს გვერდით. — პირველი ნომერი შედგენილია თორმეტი წლის წინათ.

— მეორე? შეეცითხა მეზობელი.

— მეორე ნომრით ეგ გამოვიდა ჯერ კიდევ მაშინ, როცა მე შეიღწეული დავამთავრე. ახლა უკვე ორმოცდაათი წლის კაცი ვარ... — ნაღვლიანად ჩაილაპარაკა მან და შევერცხილ წვერზე ხელი ჩამოისვა. — ახლა ეგ დაიწყებს „ოხრახუმი ვიყიდეს...“ მართლაც, მსახიობმა დაიწყო:

ოხრახუმი ვიყიდე, გულზე ჩამოვიკიდე, მე გახლავარ ელპიტე, შემეყვარე ნიკიტე...

ამის შემდეგ სულ მალე ლაცილიერდა დარბაზი. ჩემი მეზობელი პოეტი ქრთი პირველთაგანი გამოვიდა გარეთ.

— დავკარგე ვანშის მალა, — გაჯავრებით სთქვა მან. — ასეთი სუროვებით გამოსვლა სცენაზე!...

— კი მაგრამ, რატომ თქვენ, პოეტები, არ ეხმარებით ესტრადას, რატომ არ უმდიდრებთ რეპერტუარს? — შეეცადრეთ ჩვენ.

პოეტმა ჯერ ვაკვირვებით შემოგვხედდა, შემდეგ ტუჩებპარუწვით სთქვა:

— ჩვენ, პოეტებს, ასეთი მცირე ფორმებისათვის არ გვცალია... პირადად მე პატარაობიდანვე დიდ ტილოებზე ვმუშაობ. ახლა ექვს პოემას ვწერ ერთად.

ჩვენ ველარაფერი გავუბედეთ ასეთ კოლოსალურ შემოქმედს, რომელიც ნახევარ დიუჟინ პოემაზე ნაკლებს წერას არ კადრულობს და ოლიმპის მწვერვალებიდან დაჰყურებს ისეთ წვრილმანს, როგორცაა საესტრადო რეპერტუარი.

უზომი ესტრადელებმა ჩაიქროლეს: ისინი სხვადასხვა კლუბებში მიიჩქაროდნენ, რომ ამ საღამოს იქაც დროზე მისულიყვნენ; ხალხი დაეტობოთ და ერთ ღამეში ოთხ-ხუთ სცენაზე მაინც მოესწროთ გამოსვლა.

ალღარ-ალღარსან.

## ნაკილი საკვოს

რაღ წერილებს აღარა მწერ, დიდი ხანი გავიდა, ხომ არ ფიქრობ დამივიწყო, მომიცილო თავიდან, ეგრე რატომ დაიფარე მღუმარების ზვაგითა, თავი ხომ არ გაიუქმე ერთა ლიგასავითა?

თუ ორპირობ, მითხარ, რალა, რას მეშორიშორები, მითხრეს, თითქოს მანდ მოგწონდეს, ვილაღ რევისორები, — თან აღმართე ჩემს გარშემო შენ სიცრუის გორები, რეიტერი ხომ არა ხარ, რომ შეთითხნო ჭორები?

თურმე დახვალ და თავს იქებ, კობტად კისერმონადერი, ამომავალ მზეს თავს აღრი, თუმც სახე გაქვს კვამლისფერი, დაგცინიან, შენ კი — თურმე ტრახანით ხარ განაბერი, — სამურაებს ხომ არ ბაძავ, რომ გცემენ და შე კი — მღერი?

გადმომცეს, რომ ერთერთ ჩხუბში, ვილაღ ნაფთარალო, დაგბდღენია და დაუშლიხარ, როგორც ვრიგალს — თალარიო, შენ კი ამბობ: — მცემონ ეს ხომ არაფერი არ არიო!... ინგლისი ხარ? ინგრევი და ჰყვირი: არ მაქვს ზარალიო?

შენი მეზობელი ვნახე, ვკითხე: — რაზე უჩივითა? მიპასუხეს: დაყრუვდაო, დადის რალაც ყუჩივითა, ველარ გხედავ, სად გაფრინდი შემოდგომის ბუზივითა? ხანდისხან მაინც გამოჩნდი, ამ ტროლეიბუსივითა.

ახირებული გამხდარხარ, მსჯელობ მიეთ-მოეთივით, გგონია, რომ რძეს ხე ისხამს, და კამეჩი თვრება თივით, სიბავშვეში გამოთქმული აზრი მოგაქვს ძველი ტივით, — ეთხელ ნათქვამს ასჯერ ჰყიდი — ზოგიერთი პოეტივით.

სამღურავი გითქვამს ჩემზე, მითხრეს შენი დანაბარი, „გაზეთებში არ მაქვსო, რომ მიცნობდეს მთა და ბარი“, — დამსახურება რომ არ გაქვს, ხოტბა ვით ესთქვა? თვით მითხარი, — ზოგ კრიტიკოსად ხომ არა მთელი — ხათრით ვაქო მეგობარი?

მოკლედ მოესკრი, სიტყვა რალას გავაგრძელო ძაფივითა: გონზე მოდი, ნუ ტრახანობ, ნუ რახრახებ დაფივითა; ჩვენი ძველი სიყვარული რომ არ გაქრეს ქაფივითა — პასუხს ნუ დამიგვიანებ ჩვენი ტელეგრაფივითა.

თარხი





—ის დალოცვილი ბაბუა, რას ფიქრობდა როცა ასეთ ვიწრო კიშკარს უკეთებდა ეზოს?

—არ გაემტყუნება: მაშინ სახლში შესატანი არაფერი გვქონდა და ვერ გაუთვალისწინებია, რომ აქ პია-  
ნინოს შემოვიტანდით.





ანუ ჯონ-ბული და მისი ერთ-ერთი კიბე.

გაუგუგას კი იხის

ოჯახს წვეულება ჰქონდა.

მთელი დღის განმავლობაში სამზადისში იყო დიასახლისი. შვილის დაბადების დღე, კარგი ვახშმით უნდოდა აღენიშნა. მედ-ლეობის მამა სანოვაგისათვის სპეციალურად სოფელშიც კი იყო წასული დაწესებულების მანქანით.

სალამოს სტუმრები ბლომად მოგროვდნენ. ნარდისა და ჭად-რაკის თამაშს მოჰყვა ჩაი—დიასახლისის ნახელავი ტკბილეულით, ტკბილეულს—ცეკვა.

ვახშამი მზიარულად დაიწყო. თამაღის არჩევის შემდეგ პირ-ველი სადღეგრძელო მედლეობესი იყო.

—აი, ჩემო ბიძიკო, მშობლებს დიდი იმედი აქვთ შენი, იბე-ჯითე, ისწავლე და ხალხში გამოხვალ,—მიმართა მას ბიძია თომამ.

—ხალხში გასვლა რა საჭიროა?—შეაწყვეტინა სიტყვა ბავ-შემამ.

—აბა მამ სადაა საჭირო?

—ნათესავეებში, რადგან მამა ამბობს, კარგი ნათესავეებისაგან არის ლამოკიდებული...

—რა ბიძიკო?

—კაცოგი პროტექცია...

ინკიპუს

კონფერანსი: დღევანდელი საესტრადო პროგრამა მეტად საინტერესოა. მართალია, მომღერლები არც ისეთი ცნობილი არიან, მღერავენ სსკკმოდ და მოკმულ, წვერებზეთეთრებულ რომანებს; მართალია არც იუმორისტიკა ბრწყინ-ნავენ ენამახვილობითა და ახალი სიტყვით, შესრულებაც არ არის აღმაფრთოვა-ნებელი, მაგრამ პროგრამა მაინც საინტერესოა.

—რატომ?—იკითხავთ თქვენ.

—იმიტომ,—გიპასუხებთ მე,—რომ ამ მსახიობებში დიდი პოტენციული ძალაა. თუ თქვენ დაუკრავთ მზურვალე ტაშს, მოუწყობთ ოვაციებს, მსახიობები აენტობიან შემოქმედების ცეცხლით და ნამდვილ სასწაულებს გიჩვენებენ. როგორც ხედავთ, ყველაფერი თქვენზეა დამოკიდებული.

ახლა დავიწყობთ კონცერტი. პროგრამას ჩვენ ვიწყებთ სიმღერით. მსახიობი მგალობელი, პიანინოსთან კონცერტმეისტერი ამრევადე. იცნობდეთ და გიყვარდეთ. (დარბაზში ისმის მზურვალე ტაში. მსახიობი თავს უკრავს, კონფერანსიე უახლოვდება მსახიობს და ჩუმად კითხავს).

კონფერანსი:—რას მღერით?

მსახიობი:—ზაქროს არია ოპერიდან „კაკო ყაჩალი“, კომპოზიტორი ანდრიაშვილი.

კონფერანსი:—(თავს უკრავს და აცხადებს) პირველი ნომერია: ზაქ-როს არია ოპერიდან „ტასო ყაჩალი“, კომპოზიტორი—ადრეა ძილი.

(მსახიობი ასრულებს არიას).

კონფერანსი:—სანამ მეორე ნომერს გამოვაცხადებდე, უნდა მოგახ-სენოთ, რომ მეც გადავსწყვიტე გავხდე მომღერალი. თუ ვისმეს ჩემი სიმღერა არ მოეწონება, საყვედური საქსტრადის დირექტორს ლადო კავსაძეს უთხრას გუშინ საუბრის დროს მეუბნება:

—შენ რატომ არ მღერით?

—არც ხმა მაქვს,—გუპასუხე—არც ნოტები ვიცი—თქო. ლადოს გავცინა.

—კაცო, ხმა არც სხვებსა აქვს, სიმღერა არც სხვებმა იციან, მაგრამ ნახე მღერაინ და 10—15 წუთში ას მანეთს იღებნო...

—ას მანეთს? 10 წუთში ას მანეთს? ბიჭოს, ეს ხელსაყრელი საქმე ყოფილა. ჯანდაბას 10 წუთი. ვსთქვათ 20 წუთს მოუნდი. მაშასადამე საათში სამი კონცერ-ტი, ანუ 300 მანეთი. დღელამეში, ვსთქვათ 4 საათი ძილს მოუნდა (ხანში შესული კაცი ვარ და ძილი მაქვს გატეხილი), 4 საათი რეპეტიციებს, სირბილს და ნოტე-ბის ძებნას და სხვა, 16 საათი კონცერტებს. გამოდის, რომ დღელამეში მივიღებ 300X16=4800 მანეთს, ხოლო წელიწადში 4800X12=57.600 მანეთი გამოდის. ახლა თქვენთვის ადგილი წარმოსადგენია რატომ გადავსწყვიტე მე ასე იოლად გავხდე მომღერალი. მით უმეტეს, რომ გამონაკლისი არ ვიქნები. მე ვიცი და ალბათ თქვენც იცით, რომ არიან ისეთი მომღერლები, რომლებსაც არ აქვთ, არც შესრულება, ვერც ჟანრს არჩევენ, ვერც სტილს, მაგრამ სცენაზე მაინც გამოდიან, კარაქწაცხებულ პურს მიირთმევენ და პრეტენზიებიც დიდი აქვთ. თქვენ თვითონ იყავით მოწმე, გუშინწინ ამ სცენაზე ერთი კოლეგტივი აფხაზურ „ორაიდა-რაი-დას“ მღეროდა და ამ მოტივზე რომელიღაც მოცეკვავე მითიულური ცეკვადა-სად აფხაზური ია სად მითიულური?.. დარბაზში ტაში მაინც ჰქუხდა. თუმცა რას ვერჩი, საწყალმა ახლად შეკერილი შარვალი გადაიგლიჯა მუხლზე და ახალი ფეხსაცმელები გაცვიტა.

მაგრამ სანამ საკუთარ ნომრის შესრულებას შევედგებოდე, ნება მომეცით—ამას ზრდილობისათვის გთხოვთ. თორემ მე უთქვენებართვოთაც გამოვაცხადებ—წარმოგიდგინოთ ახალი ქართული რომანსების შემსრულებელი არიტა მუხურელი. (ხმა ადგილიდან): საიდან გამოვიგონე ასეთი სახელი და გვარი?

კონფერანსი:—მე კი არ გამოვიგონე, თვით მსახიობმა გამოიგონა მართალი გითხრათ, მეც ბევრჯერ მიფიქრია ამის შესახებ. ცოცხლობს ადამიანი, მუშაობს, მსახურობს და არ რცხვენია თავისი გვარისა. დიდ პასუხსაგებ საქმეზე დანიშნავენ, დირექტორია, სახკომიც, მაგრამ გვარს არ იცვლის. იგივე პიროვ-ნება რომ მსახიობი ვახდეს, მაშინვე გვარს შეიცვლის და დაირქმევს რალაც ისეთს, რომ გაკვირებული მყურებელი თვალებს დააჭყეტს. ესეც ალბად მოდაა მსახიობმა შეასრულა „ახალი“ რომანსი „მშვენიერათ ხელმწიფე“.

კონფერანსი:—უნდა მოგახსენოთ რომ განცხადებების დიდი მოყვა-რული ვარ, ვიქმეები სანაგვე ყუთებში, ვეძებ ძველი გაზეთების ნახევებს. ერთ ძველ გაზეთში ასეთ განცხადებას წავაწყდი: „მსურს გავცვალო ერთი ცოლი. 40 წლისა ორზე, თითო 20 წლისა სხვადასხვა რაიონებში“.

მეც, როგორც განცხადების მოყვარულს, ნება მომეცით განვცხადო ერთი განცხადება, რომელშიაც ცხადდება, რომ თქვენ ახლა გამოცეხადებთ პროგრამაში გამოცხადებული ჰუმორისტი, რომელიც წაიკითხავს სცენას. ვისი დაწერილია ეს სცენა? ჰუმორისტი ამის გამოცხადებას საჭიროდ არ სთვლის. ჰოდა ამიტომ აცხადებენ უარს ავტორები ესტრადელთათვის ნომრების გაკეთებაზე.

და ასე დაუსრულებლად, კონფერანსიე განაგრძობს ლაპარაკს, რაც ენაზე მოადგება ილაპარაკებს, სანამ შუალამე გარდაიარს. მაყურებელიც მადლობელი იქნება და დირექტორიც.

გვ. გათოკელი

\*) ეს კონფერანსი ესტრადის დეკადასთან დაკავშირებით „ნიანგის“ დავა-ლებით არის დაწერილი კონფერანსიეთათვის.





# ჩვენი ინტრიგანი



— უნდა მიმველო რამე ჩემო ქრისტიანო, აღარ შემიძლია სულ პრაციონალიზმი ყოფნა, მოგვედი კაცი, მერე იმ ფოთის პავაც არ მიხდება არც მე და არც ჩემს ცოლს, ვადაწვევითე ვადმოვიდე თბილისში. თქვენ იმდენი ნაცნობები გყავთ, რომ ერთორ სიტყვას თუ დახარჯავთ ჩემთვის, მეტი არ მინდა.— უთხრა ქრისტიანო, ცნობილადეს, მისი მამიდაშვილის ცოლის ბიძაშვილმა, კვირიკე წკებლიაშვილმა.

— კი მარა, კაცო, რამ შეგიცვალა ასე უცებ აზრი? ამ ერთი თვის წინ, ამბობდი— ჩვენი ფოთი სამოთხეს ემსგავსება, იქ ცხოვრებას აღარაფერი სჯობისო; მივირჩხვო როგორ სძლებთ ამ თბილისშია და ახლა რა მოგივიდა, რამ ვადაწვევითა ასე მტკიცედ ფოთის მიტოვება? რამე უსიამოვნება ხომ არ შეგემთხვა? როგორც მახსოვს შეუბნებელი დავა მაქვს ჩემი დაწესებულების დირექტორთანო.

— რაღა დაგიმალა ქრისტიანო მომხსენეს სამსახურიდან, დამამარცხეს მოწინააღმდეგეებმა, ინტრიგანობა დამწამეს, და იმან შემთხვეულა მაინც ის ფოთი, ახლა აღარც პავა მომწონს იქაური, არც ხალხი და არც ზოგა...

— ჰო, გასაგებია. მარა იქ თქვენ კი თბილი ადგილი გქონდათ, როგორც ამბობდით და იმისთანა ადგილას მოწყობა აქ ცოტა გასაჭირი იქნება.

— არ დავაძებ, ქრისტიანო, დიდ თანამდებობას საშუალო ხელფასი მექნეს და მეტი არაფერი მინდა.

— ჩემო კვირიკე, მე მგონი ეს მესამე შემთხვევა უნდა იყოს, თქვენ რომ ინტრიგანობის ბრალდებით ვხსნიან „სამსახური“ დან.

— მეც ეს მიკლავს გულს, სიმართლე არ გადის და ალაღ-მართალ კაცს შემარქვეს ინტრიგანი, ახლა ფოთში ყველამ იცის ჩემი ამბავი და ყველას მართლა ინტრიგანი ვგონივარ. ახლა მე იქ გვარს კი აღარ მეძახიან, „კვირიკე ინტრიგანი“ დამარქვეს. მიმველე რამე, ქრისტიანო, შედი ჩემს მდგომარეობაში.

— გასაგებია! მთლად ალაღ-მართალი კაცი რომ არა ხარ ჩემო კვირიკე, ისიც ცხადია. მარა როგორ ვქნათ ახლა? მოდი მიგიწერ ერთ ჩემ ძველ მეგობართან, ტრესტის დირექტორ, გედეონ ამირინდომვილიან, იქნებ მოგაწყოს და თუ იქ არ მოხერხდა, მერე სხვაგან ვეცადოთ.

— შენ გენაცვალე, ჩემო ქრისტიანო, ამას თუ მიზამ, სამუდამოდ დავალებული ვიქნები თქვენგან. ამირინდომვილს შორიდან ქე ვიცნობ, ხშირად გამიგონია მისი ქება.

ქრისტიანო დარწმუნდა ბარათი კვირიკეს, ის სთხოვდა ამირინდომვილს: გიგზავნი ჩემს მეგობარ კაცს კვირიკე წკებლიაშვილს და გთხოვ რაიმე სამსახური მისცე თქვენს დაწესებულებაში.

ერთი თვის შემდეგ კვირიკე წკებლიაშვილი, საუცხოვოდ გამოწკებლილი, ეწვია თავის პროტექტეს მაღლობის გადასახდელად.

— თქვენი ამავი, პატივცემული ქრისტიანო, ქდაუფასებელია, ამირინდომვილი კაცი კი არა, ანგელოზი ყოფილა პირდაპირ. როგორ კარგად მიმიღო და სულ რომ არ მოველოდი— ისეთ ადგალას წამომასკუბა. პირველად განყოფილების გამგეობა ჩამაბარა და ახლა კი მისი მოადგილე ვარ. იმისთანა კი კაცი ჩემს დღეში არ მინახავს სხვა. საიდან იცნობთ ქრისტიანო ასე კარგად თქვენ ერთმანეთს?

— მე და გედეონი ერთად ვსწავლობდით, მერე ჯარშიაც ერთად მოგვდით, ოფიცრები ვიყავით, რამდენი დრო გვიტარებია, ერთად, ვინ მოიგონებს...

ექვსი თვის განმავლობაში კვირიკე წკებლიაშვილი, ტრესტის თანამშრომლებს ყველას კარგად დაუახლოვდა, განსაკუთრებით პარტიულებს. ადგილობრივ პირველადი პარტიორგანიზაციის ღია სხდომებსაც სისტემატურად ესწრებოდა და მონაწილეობას იღებდა დასმული საკითხების განხილვაში. განზრახული ჰქონდა როგორმე პარტიამი შესულიყო, თუმცა ეს ჯერ არავისთვის გამხილა.

კვირიკე ცდილობდა საერთო ინტერესებისათვის ფხიზელი კაცის რეპუტაცია დაემსახურებია. ამ მიზნით ის პირველად პარტიორგანიზაციის ერთ-ერთ ღია სხდომაზე გამოვიდა „მამხილებელი სიტყვით“.

— „ამხანაგებო!— განაცხადა მან.— საჭიროა მეტი სიფხიზლე, აქ ჩვენს შორის არიან საეჭვო პირები, მაგალითად ჩვენი ტრესტის დირექტორი ამირინდომვილი, როგორც ამბობენ, არის ყოფილი თეთრგვარდიელი პოლკოვნიკი“.

ეს განცხადება ყუმბარასავით გასცდა დაწესებულებაში. ამირინდომვილი სახტად დარჩა, არ უჯეროდა თავის სმენას. მართალი ის გამოვიდა თავის დასაცავად, სთქვა რომ წკებლიაშვილის განცხადება მოგონილი ჰქონია, რომ ის არასოდეს თეთრგვარდიელი არ ყოფილა, მეფის ჯარში იძულებით იყო გაწვეული და ითვლებოდა უბრალო პრაპორშჩიკად და არა პოლკოვნიკად, მაგრამ იმდენად აღელვებული იყო და იმდენად დაულაგებლად ლაპარაკობდა, რომ დამსწრეებს ეჭვი გაუძლიერდათ.

საქმემ სერიოზული ხასიათი მიიღო.

ამირინდომვილი კრებიდან პირდაპირ ქრისტიანოზე ცნობილადესა წაუვიდა.

— რა მიყავი, კაცო ქრისტიანო, რას მერჩოდ, რატომ ვადაწვილე ის წკებლიაშვილი? შენი პატივისცემისათვის სამსახურში მივილე, დავაწინაურე, ჩემ თანამშემწედ დავენიშნე და ახლა ჩემს დალუბვას ცდილობს.

— რა იყო, გედეონ, რამე ინტრიგა ხომ არ მოგიწყია იმ შეჩვენებულმა?

— მომიწყია და მერე როგორი! კაცო, პარტიორგანიზაციის ღია სხდომაზე გამოვიდა და განაცხადა: ჩვენი ტრესტის დირექტორი ამირინდომვილი საეჭვო პირია, იგი თეთრგვარდიელი პოლკოვნიკიაო.

— რას ამბობ კაცო? ო, ეგ გათახსირებულნი, ასე აფასებს პატივისცემას? ეგ გაუწილებელი ინტრიგანი?

— კაცო, თუ ინტრიგანი იყო და გათახსირებულნი, რატომ გამოგიგზავნი?

— შევედი, ჩემო გედეონ, რაღა დროსსა, მარა კაცო ნამეტანი ქენი. მე გწერდი რაიმე სამუშაო მიეცი-მეთქი და შენ კი შენს მოადგილედ წამომასკუბე. მაინც დამნაშავე მე ვარ და რამდენადაც შეიძლება ვეცდები გამოვიასწორო. შენ რომ თეთრგვარდიელი არ ყოფილხარ, ეს ყველამ იცის და ასეთი ბრალდება შენთვის არაფერ საფრთხეს არ წარმოადგენს.

— კაცო, ამაში კი არაა საქმე, მაგრამ მე იმაზე მომდის გული, რატომ მაღლობის მაგიერად, ეს მიყო იმ აფერისტმა?

— დიდი დამნაშავე ვარ გედეონ შენთან, მარა რაც შეეხება წკებლიაშვილს, იმის შესახებ ისეთ საბუთებს მოგცემ, რომ ხვალვე შეგიძლია მოხსნა სამსახურიდან. სამჯერ არის სხვადასხვა ადგილიდან მოხსნილი ინტრიგანობისათვის, ფოთში მას „კვირიკე ინტრიგანი“ ეძახდნენ, ერთხელ სახელმწიფო ჭონების გაფლანგვისათვის ციხეშიც იჯდა. ყველა ამ საბუთებს მე ამ ორ დღეში ჩაგაბარებ და მერე შენ იცი, ჩემი მხრით როცა ვნახავ, სახეში შევაფურთხებ მეტი რა უნდა ვუყო!


\* \* \*

ერთი თვის შემდეგ ბათუმში ჩასული კვირიკე წკებლიაშვილი, ერთ თვის ნაცნობს ეუბნებოდა:

— ვერ ავიტანე, კაცო თბილისის პავა, ქუჩაშიც ნამეტანი ხმაურობა, ტრამვაიში და ტროლეიბუსებში ისეთი ქეჭყვაა, რომ ნერვებს აგიშლის კაცს. საჩემო ადგილი სწორედ ეს ბათუმია, მყუდრო ქალაქია, სუფთა, არც ტრამვაი არის და არც ტროლეიბუსი, თუ როგორმე ხეივანი ადგილას მოვეწყვე, ჩემს სიცოცხლეში აქედან ფეხს აღარ მოვიცვლი...

ჟიკი მელი.





— ერთი შეხედვით, სხვს თავის შვილიშვილს ეუბნებოდა პირველობაში.  
— მაშ რა ქნას, ოჯახში ოთხი ჩემპიონი ჰყავს და ეგ რომ ჩამორჩეს, ხომ დასცინებენ?

### საკიოზუდი პუკიოზუდაე

#### ქალბი აზრი მუარნეთა შესახებ

„საბლიტგამის“ მიერ გამოცემულ პ. ერშოვის „კუზიანი ცხენის“ თარგმანში (მთარგმნელი არ. ახნაზაროვი, რედაქტორი ალ. სულავე), პირველ გვერდზე ვკითხულობთ:

„მოხუცს უკვე მთლად მოზრდილი ჰყავდა სამი ვაჟიშვილი: უფროსს თავში ჰქონდა შუათანა სხვას თუ სთხოვდა. გონება შორს არ უჭირდა, თორემ სხვაფრივ რა უჭირდა; არ ვარგოდა ნაბოლარა, სულელი და თავცანცარა. ძმანი იყვნენ მეტად მხნენი, სოფლის კარგი მეურნენი“...

ასე გამოდის, რომ ნახევრად სულელი და მთლად სულელი შეიძლება იყოს მხნე და კარგი მეურნე. არ იფიქროთ მკითხველო, რომ ამის მსგავსი რამ იყოს რედაქციის. ეს ბრძნული აზრი წარმოადგენს მთარგმნელის მიერ ერშოვის ნაწარმოებში შეტანილ წვლილს, რომლის სისწორეზედაც პასუხისმგებლობა აუღია ამხ. ალ. სულავეს.

ჩვენ ვფიქრობთ: „საბლიტგამში“ რომ კარგი მეურნეები ძსხდნენ, მეურნეთა შესახებ ასეთი ქალბი აზრების გავრცელებას აღდგო არ ექნებოდა.

#### სასწაული მატყველების ისტორიაში

ამვე თარგმანში ვკითხულობთ:

„ძლივს მოკვამა ღია ხახა და ხმამალა დაიხახა“:

მეტყველების ისტორიაში პირველი შემთხვევა უნდა იყოს, რომ კაცს „ხახა მოკვამოს“ და მოკვამული ხახით დაეძახოს და ისიც ხმამალა. ჩვენ ვფიქრობთ, ეს სიბრძნე იმიტომ დაბეჭდილია რომ „საბლიტგამს“ ხახა იმ არ „მოკვამავს“, არამედ დაუღია.

#### დედანი და მთარგმნელის „ვანბაზია“

„კუზიანი ცხენის“ დედანში სწერია:

И на острове Буяне  
Новый гроб в лесу стоит,  
В гробе девица лежит;  
Соловей над гробом свищет...“

აი როგორ „წარმტაც პოემას“ ჰქმნის აქედან ჩვენი მთარგმნელი:

„ამ კუნძულზე კუბო დგმულა, კუბოში ქალი წოლილა, უტურფესი არა თქმულა, იქვე ვარდი გაფურჩქენილა ზედ ბულბული შეფრენილა და ეკლებით დაკოდილა; აღბად, ღილა გაცვეთილა“.

მთარგმნელის ამ „ვარდ-ბულბულიანს“ ერშოვის ნაწარმოებთან არავითარი კავშირი არა აქვს.

#### მთარგმნელის „რომანტიული“ გადასახები

დედნის სტრიქონებს:

«Здравствуй, царь наш со царьцей!  
С прекрасной царь-девицей!»


ახნაზაროვი ასე თარგმნის:

„ვაშა მეფე-დედოფალსა, მწედ ჰყავს ჩაგრულს და საწყალსა“!

მართალია, ერშოვის მხედველობიდან გამორჩენია ზღაპარში მოხსენებულ მეფე-დედოფლის ხალხის მწედ დასახვა, მაგრამ მთარგმნელს შეუძლია ეს ნაკლი.

რა ვუყოთ „პოეტური გაქანების“ დროს შეიძლება მთარგმნელი გადაახრებში გადავარდეს. ჩვენ მხოლოდ ის გვიკვირს „საბლიტგამში“ რატომ ჰყავს „მწედ“ ასეთ ოთურმას?





სად იძნება მოლა მასრაღინი?

ამხ. ნიანგო აბასთუმნის (ზუგდიდის რაიონი) სტახანოვის სახელობის კოლმეურნეობას ჟურნალ-გაზეთებისა და სხვა საფოსტო კორესპონდენციების დამტარებლად გამოყოფილი ჰყავდა კოლმეურნე გბერიშვილი. აღნიშნული ამხანაგი, ალბად იმიტომ, რომ ფოსტის პირდაპირი თანამშრომელი არ იყო—პირნათლად ასრულებდა თავის მოვალეობას: დროულად აბარებდა ხელისმომწერთ ჟურნალ-გაზეთებს. რამდენიმე თვეს იმუშავა ბერიშვილმა, ხელისმომწერლები მოიმაღლიერა და რაკი ძველად ჩავარდნილი საქმე გამოასწორა, პირდაპირ სსკგონებელში ჩააგდო კოლმეურნეობის გამგეობა:

—საქმე შესანიშნავად არის! არცერთი საჩივარი არ შემოსულა კორესპონდენციების დროზე ჩაუბარებლობის შესახებ. მამ რაღაზე ვხარავთ თანხებს ბერიშვილის შესახებ?

სსკგონებლიდან გამოსვლა კი იმით მოხერხდა, რომ პირველი ოქტომბრის მშენიერ დღეს აიღეს და სამუშაოდან გაანთავისუფლეს ეს თქვენი ბერიშვილი. გაანთავისუფლეს და მის მაგიერ სხვა არავინ დაინიშნეს. ახლა კი კოლმეურნეობის გამგეობა ისეთ კაცს დაეძებს, რომ მოლა მასრაღინობა შეეძლოს: პასუხისმგებლობა აიღოს და რამოდენიმე დღის განმავლობაში ჟურნალ-გაზეთებს ასწავლოს ხელისმომწერლებთან თავისუფლად მისვლა. დაეძებენ მოლა-მასრაღინას; და ის კი არ იცინა, რომ მათი ძებნი სობიექტს უფრო დახელოვნებული კონკურენტები ეჯავრება.

იქნებ თქვენ გააგებინოთ ეს უბრალო ჭეშმარიტება, ამხ. ნიანგო!

ხელისმომწერლები.

ძველის ცხოველის შესახებ.

ძმაო ნიანგო!

გამიგონია, რომ საუცხოვოდ იცნობ ცხოველთა სამყაროს. ქინქლა, რომ ქინქლაა, ისიც კი ფრთიდან კულამდე გყოლია შესწავლილი და ამის გამო ერთი უცნაური კითხვა მინდა გავიზიარო: დღემდე ცნობილია, რომ ბუნებაში მრავლად მოიპოვებიან უფებო ცხოველები. ისინი რაღაც ბუნების საშუალებით დალოდავენ მიწაზე და კუბე მეტი სისწრაფის განვითარებას კი შეუძლიან. ამას გარდა, თუმცა ყველასათვის არა, მაგრამ ცოტათოდენ ნასწავლ კაციისათვის მაინც ცნობილია, რომ ქვეყნად ზრებობენ უძელო ცხოველები. ასეთები ზღვის გარდა ხმელეთზეც მოიპოვებიან და თუ აუროპლანში ჩესვამთ „ვიფრინეო“ იმასაც დაიტრბახებენ.

მაგრამ, აბა დაფიქრდი, ძმაო ნიანგო, თუ სადმე გაგიგონია ისეთი ცხოველი, რომელიც ცარიელ ძვლებისაგან შესდგება. ასეთი ცხოველი მე აღმოვაჩინე, მაგრამ მისი

ვინაობა გერ კიდევ ვერ შევიტყვე, რადგან ყოველგვარი დაიდუმლოება ტოლსტოის ქუჩაზე მდებარე სასაღილოს—„მეფისტოს“ თანამშრომელთა ხელში იმყოფება: აკეთებენ ამ ცხოველსაგან ბულაქმას, სოფხს, სხვა აუარებელ „საჭმელებს“ და არ ამბობენ, თუ სად ცხოვრობს ან რითი იკვებება ეს უკანასკნელი.

იქნებ შენ მაინც გამოარკვიო რამე, ძმაო ნიანგო!

ზოომოსადილე.

როცა თმლი არ იწმინდება

ამხ. ნიანგო! „რასაც დასთეს—იმას მოიძიო“ ქართული ანდაზა ამბობს და რასაკვირველია, თქვენც ზეპირად გეცოდინებათ. ეს ანდაზა კაჩაეთის (ამბროლაურის რაიონი) კოლმეურნეობის გამგეობასაც ზეპირად სცოდნია და ალბად ამიტომ მსჯელობს ასე:

—არაფერიც არა, რასაც დასთეს ყველაფერი როგორ ამოვა? მამ მარილის დათესვა და ამოსვლაც შესაძლებელი ყოფილა!

მსჯელობს ასე და სწორედ ამიტომ ხორბალს არ სწმენდს სხვადასხვა ნაგვისაგან. კოლმეურნეები კი, ამხ. ნიანგო, დაინებით მოითხოვენ ხორბლის დათესვამდე გაწმენდას... და განა მარტო ხორბლისას?

აგრონომის ბიძა.

ნიუა-ნიკორას აზვავი

ამხ. ნიანგო! წყალწითელას (ტყიბულის რაიონი) მე-18 პარტყრილობის სახელობის კოლმეურნეობის გამგეობამ მამ შექმნილი მათე პირუტყვებს ამინისტია გამოუცხადა. ეს ამინისტია შემდეგში გამოიხატა: გაუშვეს ნიუა, ნიკორა, თაფლა და მათი ნაცნობ-ნათესავები დაუბმელ-დაუბმეყვედვლად და დაიკრიბეს გულხელი.

—ჩვენი ამინდია!—სთქვა ნიკორამ.

შეესივნენ სიმინდსა და სლიას, აუყენეს ხრამუნ-ქნატუნნი და 900 კილოგრამს წირვა გამოუყვანეს.

—ჩვენ განა მაგისტვის გავუშვით თავისუფლად? ვინ დაავალათ სიმინდი და სლია მიირთვითო!—გაცხარდნენ კოლმეურნეობის გამგეობის წევრები.

გაცხარდნენ და „დამნაშავე“ პირუტყვთა დასჯის მიზნით, ბოსლის მშენებლობა შეაჩერეს. ბოსლის სააღმშენებლო მასალას კი დაესივნენ და „ხრამა-ხრუმი“ შეუყენეს.

ახლა უბინაოდ არიან დარჩენილები ნიუა, ნიკორა და მისი ნაცნობ-ნათესავნი. სასჯელს, როგორც პირუტყვნი, უსიტყვოდ იხდიან და გულში ფიქრობენ:

—ნუ თუ დანაშაულისათვის ყველა დამნაშავე არ უნდა დაისაჯოს?

ნიკორაული.

გაუგებრობა

ნახ. ან. კანდელაკისა.




—ამ ჩვენი დირექციისა ვერაფერი გამიგია!

—რატომ?

—კაცო, შარშან მომხსნეს იმისათვის, რომ სავაჭრო წერტის მუშაობას თავი ვერ გაართვით, —წელს კი წერტის მუშაობას თავიც გავართვი და ბოლოც, მაგრამ მაინც მომხსნეს!





— რათ მიღინარ, ჯერ ხომ კონცერტი არ დამთავრებულა?  
 — რა მესმის? — სიმფონიააო.  
 — უი, ქა, ამოდენას აბრაზუნებენ და მაინც არ გესმის?

### ნ ა ს ი ე რ ი კ ა ბ ი

ანდრია წითლაცაძე ძლიერ წესიერი ადამიანად იყო ცნობილი. აგერ ამდენი ხნის „ახალგაზრდაა“, როგორც ის თავის თავს უწოდებს და, ჯერ შეურაცყოფა არავისთვის მიუყენებია, არავისთვის შეუგინებია.

დაწესებულებაში ხომ ზედმეტი იყო მის თავაზიანობაზე ლაპარაკი. თავის უფროსს უბატონოდ ხმას არ გასცემდა, საერთო კრებაზე მუხჯი იყო, ძვირს არავისზე ამბობდა. განსაკუთრებით ქალებთან შაქრად იცოდა დადნობა.

— ხომ არ მიირთმეოთ ნინიჩკა ატაშს? ინებეთ! თქვენ კი მანია, ყურძენი გიყვართ, ისიც მაქვს უჯრამში, ამ დილით ვიყიდე, მიირთვით! — ასე მიმართავდა ის და პატივს ცემდა ქალთა სქესს.

ასეთი ქცევით ორიოდე სატრფოც კი გაიჩინა თავისივე დაწესებულებაში.

— ნეტავი შენს ცოლს, რა ბედნიერია! — ამბობდნენ ქალები.

მაგრამ სრული მეტამორფოზა ხდებოდა ანდრიას თაფლოვან-შაქროვანი ზასიათისა, როცა ის ოჯახში შედიოდა. ყველა წვრილმანი თვალში ეკლად ესიბოდა, ცოლშვილს ეყაყანებოდა, როგორც იტყვიან — წყალშიც კი ცეცხლს გააჩენდა და ცეცხლის გულიდან გამოიღებდა მიზეზს, რომ ცოლშვილისათვის „ყინული და ჭინჭყლი“ აეტება.

- ფანჯრები რატომაა ღია ამ სიცხეში?
- დაეზურავთ, გუშინ შენ თვითონ სთქვი ასე.
- კარები რატომ არ გააღეთ?
- გავაღებთ, — შენ ხომ თვითონ სთქვი დახურული იყოსო.
- სადილი მზად არ უნდა იყოს, რატომღაც არაფრის სუნნი არ მცემს — გეცესთ ციება თქვენ.

ასეთი ლექსიკონი იხსნებოდა ანდრიას ოჯახში შესვლისთანავე.

— ყაუტრმას მარილი აკლია! რატომ დააკელი? — უყვირა წითლაცაძემ ცოლს სადილის დროს.

— აი მარალი და დაყარე, რა გაჯავრებს მაგისტვის? — მიმართა წყნარად ცოლმა.

— დავყარო? მერე მაგას უცადო როდის გადნება? უუ; შე მუქთახორაჰ! ტყვილა ივარჩენ მე შენ! — და წითლაცაძემ პურის ქერქი ესროლა ცოლს. 5 წლის პატარა ბიჭმა ტირილი მორთო ამის დანახვაზე.

— შენ ტირილს კიდევ ვერ გადაეჩვიე შე ლორის გოჭო? — დაიღრიალა წითლაცაძემ და ბავშვს მაგრად ჩააფარა თავში.

სადილი ვაიუბედურებით გათავდა.

სადამოს, უფროსმა ბიჭმა ლეომ შიშით შეებედა მამას:

— მამა! მამიკო! ხვალ ფეხბურთზე გამიშვი რა?

— რაო? — დაიღრიალა „მამიკომ“, — აი შენი ფეხბურთი — და წითლაცაძემ რაც ძალი და ღონე ჰქონდა, ფეხი აიქნია, რომ ჭიტლაცი ამოეკრა შეილისათვის, მაგრამ შეშინებული ბავშვი გადახტა და წითლაცაძის ჭიტლაცი მოხვდა პატარა კარადას, სადაც ჩაის ჭურჭელი და შუშეულობა ელაგა.

შუშისა და ფაიფურის ნამსხვრევებით მოიფინა იატაკი...

— ეს სულ შენი ბრალია, შე უქნარავ შენ! — მიუბრუნდა ცოლს და დასწვდა სკამს, რომლის მოქნევასაც მისი მომთმენი მეუღლის შემზარავი კვილი მოჰყვა, ხოლო კვილს — მეზობლების მოგროვება.

— წყალი, წყალი, — ყვიროდა ვიღაცა, — მგონი საფეთქელი აქვს ჩატეხილი.

— სასწრაფო დახმარებას დაუძახეთ — სასწრაფოდ, — ისმოდა აქეთიქიდან.

გულწასული ქალი ამბულატორიაში გააქანეს.

„...და მიიღო რა მხედველობაში, რომ უკანასკნელი სისტემატურად სცემდა პირველს, რომ პირველი ამის გამო საქმეში დაგროვილი მასალებითა და ამავე დროს მოწმეთა დაკითხვითა და თვით ბრალდებულისა და დაზარალებულის ჩვენებით იყო ნაცემ მდგომარეობაში, რისთვისაც მიესაჯოს მოქალაქე ანდრია წითლაცაძეს 2 წლით თავისუფლების აღკვეთა“.

ასეთი იყო მარტივი, სხარტი და ნათლადგააგები განაჩენი საუბნო სასამართლოსი წითლაცაძის მიმართ, საიდანაც ყოველ შემთხვევაში, იმის გაგება მაინც შეიძლებოდა, რომ „ნაცემ მდგომარეობაში მყოფ“ ცოლს სასამართლოში აღებრა საქმე — ქმრის ხულიგნობის შესახებ.

— საწყალი ანდრო — ამბობდნენ თანამოსამსახურე ქალები — ვინ იტყვის მაგაზე ცუდს, როგორი შესანიშნავი ადამიანია, როგორი წესიერი და მოსიყვარულე; აფსუს!... სულ ცოლის ბრალი იქნება!...





# მხიარული ტაობონუბანი



ჩვენმა ძვირფასმა და მხიარულმა გამოგონებებმა დიდი გამოხმაურება ჰპოვა.

განსაკუთრებით მოსწონებით ჩვენს მიერ კონსტრუირებული „საათი—მალეიძარა“.

ამის შემდეგ მე დროებით ჩაფიქრდი—კიდევ არ შეიძლება გამოვიგონო ისეთი, რაც ჯერ არ არის გამოგონებული მეთქი.

ყოფილება შევაჩერე მატარებლის მოძრაობაზე.

— მოდი—ვიფიქრე—გამოვიგონო ისეთი მატარებელი, რომელიც ჰაერში გაფრინდება მეთქი. დავიწყე ჩემს გონებაში დაპროექტება, მაგრამ სწორედ ამ დროს თავზე შხულით გადამიფრინა თვითმფრინავმა. ჩემი მეხსიერება ამოქმედდა და მომაგონდა, რომ მფრინავი მატარებელი კარგა ხანია გამოგონებულია, ძალიან მაღლობა შეესწირე ჩემს მეხსიერებას (წარმოადგინეთ კინაღამ თვითმფრინავი გამოვიგონე!).

არ გასულა დიდი ხანი და მე ისევ ჩაფიქრდი მატარებლების გარშემო. გამახსენდა სადგური რიონი.

ეს რომ მომაგონდა, უსაზღვროდ შემებრალო ყველა, ვისაც ქუთაისში ოდესმე უფიქრია გამზავრება. ყველაზე გამობრძნედილ მოგზაურსაც კი სწორედ სადგურ რიონში უნდა აუტყდეს ნევრასტენია, ან დაემართოს ივერლების ანთება-აგუზგუზება. შორეულ აღმოსავლეთიდან ადვილად ჩამოხვალთ, მაგრამ სადგურ რიონში შეიძლება დასწყევლოთ ჯემს უატტი. რომელმაც მატარებელი გამოიგონა.

ელოდებით თქვენც და ათასი თქვენისთანა სხვაც, სანამ დამშეული ცხენით გახრევილ მატარებელს ქუთაისისაკენ უზამენ პირს.

მე, როგორც ხალხის კეთილდღეობისათვის მოამაგეს, არ შემიძლია რაიმე გამოგონებით არ ვიხსნა მგზავრები ამ უასაჟიროსავან.

## „ზარალმოგილი“

და მადლობა დამბადებელს, გამოვიგონე საშუალება: ჩვენის აზრით, სადგურ რიონის მახლობლად უნდა აშენდეს 19 სართულიანი სახლი—5 ათასი მგზავრისათვის. ამ სახლის აგების დროს უნდა გავითვალისწინოთ: საძინებელი ოთახები, აბაზანები, კლუბი, უმთავრესად სამშობიარო, სხვადასხვა დისპანსერი, ამავე დროს სპორტდარბაზი, სამრეცხაო-სამღებრო და ა. შ.

მგონი ყველა მიმიხვდა, თუ რა საჭიროა ასეთი სახლი. ცხადია, ქუთაისში მიმავალი მგზავრების მომსახურებისათვის.

ასეთი სახლის აგება დიდი-დიდი—ერთი, ან სამი მილიონი მანეთი დაჯდება. მერე რას წარმოადგენს სამი მილიონი—სიქსილიონთან შედარებით? წვეთს.

მე მაქვს სხვა გამოგონებაც, რომელიც ქუთაისში მიმავალ მგზავრებს იხსნის სადგურ რიონში ლოდინისაგან ყოველგვარი 19 სართულიანი სახლის აგების გარეშე. ამ გამოგონების მიხედვით, საჭიროა მხოლოდ ერთ უბრალო ოპერაცია: ქუთაისიდან—რიონამდე დანიშნული მატარებლის წესისამებრ გამგება—ერთის მაგივრად, 3-ჯერ ან 4-ჯერ.

ეს სავსებით შესაძლებელია და მისაღებიც, მაგრამ აქვს ამ გამოგონებას ერთი დიდი ნაკლი. საქმე იმაშია, რომ მისი განხორციელებით ვერავინ ვერაფერს იზარალებს. პირიქით, შეიძლება რკინიგზამ კიდევ მოიგოს. ამ ნაკლის გამო შეიძლება ამხანაგმა რკინიგზელებმა დაიწყონ ეს უკანასკნელი გამოგონება. ამ შემთხვევაში ჩვენ ისევე 19 სართულიანი სახლის პროექტს წარვადგენთ.

## „ფეხომოგილი“

თუმცა გვაქვს კიდევ უფრო მარტივი გამოგონება ამ საკითხზე: ამ გამოგონების ძალით ყველა მოქალაქეს, რომელიც დიდი ხნით ლოდინს ვერ ითმენს, ან არ სიამოვნებს 24 საათის განმავლობაში—სადგურ რიონის „ბუფეტჩიკების“ ცქერა,—შეუძლია საკუთარი ფეხით დაადგეს რკინიგზის ლიანდაგს და შპალიდან-შპალზე მსუბუქი ხტომით გასწიოს ქუთაისისაკენ. ამ გამოგონებას აქვს ასეთი უპირატესობა: მგზავრს შეუძლია თავისი ბარგი-ბარხანა საკუთარი სურვილით წამოიკიდოს ზურგზე, ან ამოიხა-

როს ილიაში და ჩასვლისთანავე თან იქონიოს თავისი საქონელი, რაც მოუხერხებელი ხდება რიონიდან ქუთაისში „საგაუთ“ გზაზავნის შემთხვევაში.

ამ გამოგონებას ჩვენ ვუწოდებთ „ფეხომოგილი“.

უბედურება მაინც იმაშია, რომ ამ გამოგონებასაც აქვს ნაკლი: „ფეხომოგილის“ განხორციელებით, ზარალობს მხოლოდ მგზავრი, მაშინ, როდესაც რკინიგზა ვერაფერს ვერ ზარალობს.

## საემაჩუხეზი

მე დაფიქრდი იმის შესახებ, თუ როგორ მოვსპოთ სასადილოებში - ეგრეთწოდებული ხალტურა, ანუ როგორც ძველად უწოდებდნენ—„ნაჩი“.

ამავე დროს აშკარად ვგრძნობდი, რომ ძველად ნაცადი საშუალებები, ეგრედწოდებული მორალური ზეგავლენა, წაღდად უძლეურია ამ მოვლენის წინააღმდეგ ბრძოლაში. ეს მორალური ზეგავლენა ზოგიერთი ადგილკომის გამოგონებაა და გულისხმობს კედლებზე ასეთი წარწერების გაკვრას: „ხალტურას ნუ აიღებთ“; „ვაუკაცი ის არის, ვინც ნაჩიზე უარს ამბობს“, „მოსადილენო, შესადექით! გაუფრთხილდით ჯიბეს“, და მრავალი სხ.

მართალია, ზოგიერთი უნებისყოფო ოფიციალტი შეაკრთო პროზისა და პოეზიის ამ შემოტევამ, მაგრამ ბევრმა მედგრად გასწია წინ ნაცადი გზით.

ამავე დროს ამ ნაცადი გზის საწინააღმდეგოდ ზოგმა მოსადილემ გამოიგონა ასეთი რამ: კარგა გაძლომის შემდეგ სავსებით გაპარვა სასადილოდან.

ახლა ახალი საზრუნავი მომემატა: ფულის გადაუბდელად გაპარვის წინააღმდეგაც უნდა გამოვიგონებია რაიმე.

და მადლობა ღმერთს, თუმცა ჯერჯერობით ოფიციალტების წინააღმდეგ არსებითი ვერაფერი მოვიგონე, მაგრამ გაპარვის მოსასპობად კი შევადგინე პროექტი: სასადილოს კართან უნდა დაიდგას ერთგვარი უჩინარი მანქანა. გაპარული მოქალაქე დადგამს თუ არა ფეხს ამ მანქანას, უკანასკნელი ჩაიჭერს სპეცმარწუხებით. იქვე, კედლებზე ჩამოყიდებული ტელეფონით მეკარე გამოუძახებს მილიციას და დამნაშავეს მიაბრძანებს; სადაც საჭიროა. რათა თავიდან ავიცილოთ პატიოსანი მოქალაქეთა დატყვევება მანქანის საშუალებით, კედელზე ჩამოვკიდებთ წარწერას: „ვინც არ იპარება—მანქანას ფეხს ნუ დაადგამს“ და სხ.

ამრიგად, მოსადილის ოინების წინააღმდეგ ჩვენ ადვილად გამოვიგონეთ საშუალება მაგრამ ახლა, თავპირი უნდა ვიმტვრიოთ ოფიციალტების მიერ ნაჩის აღების წინააღმდეგ. 316—ლი.

ნახ. დონისა

## დ ა ჩ ე ბ რ ე ლ ი



—შემიბრალო და გაიზიარეთ ჩემი გულის დარღვი: ჩვენს საწყობში, სადაც დავიბადე და უღარდელად გავიზარდე, ახლა ყველაფერი აირია—გამგემ სულ თავის ნათესავ-კეთილებს მოუყარა თავი. თვითონ ბრძანეთ, ასეთი ხალხის ხელში თავგებს რაღა დარჩებოდათ საკმელი?







ხონში მიმავალი ავტობუსი არ ჩანს. ისმის ხალხურისტ ზოფერთა ხმა:

— აბა ხონი, ხონი!

მყისვე ივსება საბარგო ავტომანქანა, რომელზეც ორი ცარიელი კასრი დგას.

— ბოჭკის ქვეშ დარჩა ორი ადგილი, აბა ჩქარა! ვისაც სურს შეძვრეს შიგ!

— ავაშენოს ღმერთმა, — ამბობს კასრში შესაძვრომი მგზავრი, — აბა ახლა გადაამხვეთ თავზე ბოჭკა... იფ! შერცხვენილი ვიყო, თუ ასე არ სჯობდეს.

— აბა, წავედით!

— ბრრრ! — ღმუის მანქანა.

— ზედმეტი ხალხი ნუ ჩამოეკიდება მანქანას. ნუ ამალღვებთ, თორემ დაგყრით შუა გზაზე!

— არ დამლუპო, შენ სულს ვენაცვალე, — ისმის ზედმეტი მგზავრის ხვეწნა, — ასე დაედგები კიბეზე...

— ვაღმოვარდები და პასუხისმგებაში მიგცემენ. ჩამოდი ძირს!

— ოც მანეთს მოგცემ, სხვა რაღა გინდა. რაც შეეხება ძირს ჩამოსვლას, არ გამახსენო. დღეს რომ ხონში არ ჩავიდე, ცოლი გამითხოვდება, ისეა საქმე! აჰა, მიირთვი 20 მანეთი!

— მერე მასე ვერ სთქვი თავიდანვე?! რატომ მიმლით ნერვებს!

— ნერვებს ნუ აუშლით ამხანაგ ზოფერის! — ისმის ხმა.

— ბრრრ... ბრრრ... — მანქანა დაიძრა.


— ბუჰ!

კამერა სკდება.

ხალხი მანქანიდან გადმოიღის.

ერთი საათის შემდეგ წაიკითხეთ ეს სცენა თავიდან.

არჩილ.



— ამ კომუნისტებისა ვერაფერი გავიგე: მამულები ჩამომართვეს და გლეხებს უფასოდ დაურიგეს, ამათ კი — ჩამოაქვთ ქალაქში ჩემი მიწა და არხეინად ჰყიდიან. ამას ჰქვია სამართალი?

# მადლობის მადიპრა

(ნაგვრილი სინამდვილე)

— რატომ მოხსნეს თუ იცი? — ეკითხებოდნენ ერთ-მანეთს რაიონში.

— რატომ და ფიზკულტურული მუშაობის ჩაშლისათვის. — იყო პასუხი.

— მართლაც, ამ უბრალო მოტივით იქნა მოხსნილი ფიზკულტურისა და სპორტის გაღმა რაიონის კომიტეტის თავმჯდომარე.

ეს არ იყო არაჩვეულებრივი, სენსაციური რამ: კაცი ვერ აღმოჩნდა ფიზკულტურაში დასაშინებელი აიღეს და მოხსნეს.

ყველას თვალში მიპყრობილი იყო თავმჯდომარის დროულად დაბრუნებული სავარძლისაკენ და მთლიანად — კაბინეტისაკენ.

— ის კი წავიდა, მაგრამ ვინ მოვა „ტურფასა საბალნაროსა“? — ეს ფიქრი აწვალებდა არა მარტო, ფიზკულტურის ინსტრუქტორს უმოქმედო შიშის, არამედ სხვებსაც. არჩევანი მიღდა ყველასათვის ცნობილ მადიანობაზე. და როდესაც ერთ დღეს, აცრემლებულმა დამლაგებელმა შეაღო კაბინეტის კარები, რომ დაბრუნებული სავარძელი გაესუფთავებინა, დაინახა შიგ მჯდომი მოყმე ვინმე.

სწორედ ეს გახლდათ ჩვენთვის უკვე ცნობილი მადიანობა.

— დამიძახეთ საქმეთა მმართველს, ინსტრუქტორებს და მთელს აქტივს! — ბრძანა ახალმა თავმჯდომარემ.

აქტივმა ყოველი მხრიდან იწყო დენა. მოდიოდნენ მანქანებით, მოტოციკლებით, ველომარულით, იორღა-მაჭენებელ ცხენებით და შიგადაშიგ — სახედრებითაც.

— აივანზე გადმოყვებულნი მადიანობა სპორტული ახარებით ადევნებდა თვალს ფიზკულტურის ნაკადს. თავს არხეინად გრძობდა, ვინაიდან სიტყვა დიდი ხანია, მოზადებული ჰქონდა. სიტყვის თვისებები, სხვათა შორის, შეიცვალა შემდეგს:

1. ფიზკულტურა, როგორც ასეთი.
2. სპორტი, როგორც ისეთი.
3. გამართება ფრანსისა: „ერთ-ორი რომ შემოჰკრა, ყარფუხივით დააბნევსა“.
4. ბრძოლა სპორტსმენთა გადაბირება-გადმობირების წინააღმდეგ.
5. პირველობის მიღების ხერხი და საშუალებანი.

აქტივი შეგროვდა. ყველანი აღტაცებით შეჰყურებდნენ ახალ თავმჯდომარეს, რომელიც შესავალ სიტყვაში პირობას იძლეოდა, რომ ფიზკულტურასა და სპორტს რაიონში აიყვანდა წარმოუდგენელ სიმაღლეზე. ის იყო, ტაშის გრიალი უნდა ატეხილიყო, რომ ფოსტალიონმა სწორედ ამ საბედისწერო მომენტში შე-

მოიტანა დეპეშა. წაიკითხა რა იგი, მადიანობამ წარმოსთქვა:

— მეგობრებო, რესპუბლიკური კომიტეტი ათი რიცხვისათვის აწვობს ფრენბურთის საკოლმეურნეო გუნდების რესპუბლიკურ შეჯიბრებას. რაღა თქმა უნდა, პირველობა ჩვენი იქნება...

ინსტრუქტორ უმოქმედო შიშის ულვაშებში ჩაეცინა და მუჯღუგუნო გაჰკრა გვერდში მგზობელს, რის შედეგადაც ორიოდ წყნო ჩაუმტვრია. მის მავალით ბევრმა მიჰბაძა.

მადიანობის გამპრიახ თვალს არ გამოჰპარვია ეს საეჭუო სცენები.

— რაშია საქმე? ეჭვი ხომ არ შეგაქვთ გამარჯვებაში? — იკითხა მან.

ეჭვი რა საკადრისია, მაგრამ უბედურება ისაა, რომ ჩვენ ფრენბურთის უნდი ფაქტიურად არცკი გვყავს — დაიწყო ერთმა.

— ეს პესიმისტური წუწუნია, — განაცხადა მადიანობამ, — ჩვენ გვეყოლება უნდიც და გვექნება პირველი ადგილიც.

ამით დამთავრდა კრება. იმავე დღეს სხვადასხვა რაიონებში, ცალკეულ სპორტსმენთა მისამართით გაფრინდა დეპეშები. მათი ტექსტი ერთი იყო:

„... კომიტეტი გთხოვთ მონაწილეობა მიიღოთ ფრენბურთის საკოლმეურნეო გუნდების შეჯიბრებაში ჩვენის მხრიდან. ხარჯები ორმაგად აგინახლავთ. მადიანობა.“

ამ სპორტულმა ფანდმა მართლაც გასკრა ჩვენმა რაიონმა რესპუბლიკურ შეჯიბრებაში მილაკრი გუნდი გამოიყვანა და პირველი ადგილით ხელდაამყენებულნი დაბრუნდნენ თავთავის რაიონებში.

სამანაგვარი სანტიმეტრით ზევით აიწია მადიანობის ცხვირმა, როდესაც მან გამარჯვებისათვის ჯილდო და სიგელი მიიღო. იგი მისალმებისა და მადლობის დეჰემებს უგზავნიდა ფრენბურთელთა გუნდის წევრებს რომლებიც აგრეთვე ხელდაამყენებულნი დაბრუნდნენ თავთავის რაიონებში.

დიდებული აღმონდა მადიანობის მეთოდი და იგი ბოლომდე აღარ მიუტოვებია: ყოველ შეჯიბრებაზე ჰგზავნიდა დაქირავებული პირებით შეხანსლულ გუნდებს და ჯილდოს-ჯილდოზე იღებდა. რაც შეეხება სიგელებს, მათ ხომ პირდაპირ გაავსეს თავმჯდომარის კაბინეტი: ჩარჩოების ჩამოსაკიდი ლურსმნები საყბუნელი გახდა.

— ასე იცის ბიჭმა: ხელების ფუნქციით ამბობდა მადიანობა და მალე სწევდა ცხვირს.

ოლონდ ერთი რამ აწუნებდა მას: ფიზკულტურულთა გამუდმებულმა დაქირავებამ კომიტეტის სალაროს სიკა გააცალა, სულ გამოფიტა.

— რა მეშველება, კიდევ რომ შეჯიბრება გაიმართოს? სადღა ვიშოვო ფული? — მწარედ გაიფიქრებდა იგი.

ერთ დღეს მან კვლავ მიიღო დეპეშა.

— ვილუპები, ალბათ შეჯიბრებაა: — წამოიძახა და კინალამ თმებში იტაცა ხელი. მაგრამ დეპეშაში სულ სხვა რამ იწერა.

— ხათუნი, — დაუძახა მან საქმეთა — მმართველს, — ისევ დაგვაჯილდოვებს კარგი მუშაობისათვის. ცენტრში მიწვევენ... ფული, მიშველ!

— ფული არა გვაქვს. ვალეში ვართ. — მოუტრა ხათუნი.

— როგორმე, გენაცვა... ჩავალ, დოტაციას მოვიტხოვ...

იშოვა ფული და თბილისში გაჩნდა.

— დიდი მუშაობა გვაქვს გაშლილი! — ტრახანობდა მადიანობა „ორიანტში“ თავის ამხანაგებთან, — რა გინდა, სულა და გული: ფრენბურთი გინდა, კალათ ბურთი გინდა, ფენბურთი გინდა, ისე ბურთი გინდა... ახლა ფარიაკობა? ახლა ორკიდი? სამკიდი? მრავალკიდი? ორძელელებით, სამძელელებით და ლეგებით ხომ გატეხილი მაქვს რაიონი! თვითველ მცხოვრებზე სამი ფიზკულტურელი მოდის!

— მართლა? — აბა თქვენ გქონიათ რაიონი და სპორტ-ქულიც თქვენ გზურებათ. შურით მიუგებდნენ მსმენელნი. მადიანობის ცხვირი კი კვლავ ზევ-ზევით იწევდა.

სანამ მადიანობა თბილისში სვირნობდა, რაიონში მის მუშაობას ამოწმებდნენ. საქმე მადიანობის მან გამოაჩინა, რომ მადიანობის ხერხი და მეთოდი ფაქტიურად ყალთაბანდურია და იგი დაქირავებულ პირთა საშუალებით აღწევდა გამარჯვებებს. თვით რაიონში კი ფიზკულტურულთა ამოძრავებისათვის თავი არ შეუწუხებია.

ამას რასაკვირველია, სათანადო დასკვნები მოჰყვა და მადიანობამ სპორტსუბი გააქვთ თავმჯდომარის სავარძლიდან.

— მადლობის მაგიერია? — წყენით ეუბნებოდა პროკტორს მისხნილი და პასუხისმგებაში მიცემული მადიანობა, — რაიონში ფიზკულტურული მუშაობა მიუწვედომელ სიმაღლეზე ავიყვანე... წარმოუდგენელი საქმიანობა გავშალე, ასე დამიფასეს?...





ჩემი გამგზავრება მიაკოვსკისაკენ (ყოფილი, ბალდათისაკენ) აბსოლუტური ჩვეულებრივობით მოხდა.

„სოიუზტრანსის“ ქუთაისის განყოფილებას დილაადრიან მივაღებქი.

— რომელ საათზე წავა, მეგობარო, ავტობუსი მიაკოვსკისაკენ? — ვეკითხები სადგურის უფროსს.

პასუხის ნაცვლად უკანასკნელმა ენერგიულად გადააფურთხა და გამშორდა.

— თქვე დალოცვილო, ჯერ ის იკითხეთ წავა თუ არა ამ კვარაში. საათი რა საკითხავია! — მიპასუხა ერთმა გლეხმა.

გამოვარკვიე, რომ ავტობუსის წასვლა მიაკოვსკისაკენ მხოლოდ ბედნიერ შემთხვევაში ჰხდება და ასეთი ბედნიერება მეტად რჩეულთა ხვედრია.

სამაგიეროდ არსებობს მეორე „სადგური“, საიდანაც ავტომანქანით მგზავრობა მიაკოვსკისაკენ დამოკიდებული არ არის ბედნიერი შემთხვევებისაგან და იქ ყველა ერთნაირად ბედნიერია.

ეს „სადგური“ წარმოადგენს ღია ქუჩას სამტრედიის შენობის წინ, ეგრედ წოდებულ ბალახვანში, საიდანაც ხალხურისნები აკეთებენ რეისებს მიაკოვსკისაკენ.

მირჩიეს მიმემართა ამ სადგურისათვის.

ჩამოვდგა ავტო და მეც მოვიმარჯვე ბეჭები შიგ შესავარდნად.

სწორედ იმ დღეს, იმ საათში, იმ წუთში მე ეჭვი შევიტანე ფიზიკის კანონების იმ ჭეშმარიტებაში, რომელიც ამტკიცებს, რომ ერთ ადგილზე მხოლოდ ერთი სხეულის მოთავსება შეიძლება. მე ვგრძნობდი ჩემს ერთადერთ საცოდავ სხეულზე, მგონი, ხუთმეტ სხეულს.

— გაიხსენეთ არქიმედი, პასკალი და რატომდაც, ფრიდრიხ ნიცშე, — ვყვირი მე. — ფიზიკის კანონებს არღვევთ, თქვე მეცნიერების იგნორანტებო!

მაგრამ ფიზიკის კანონების უძღურებაში მე ერთხელ კიდევ დავრწმუნდი, როცა დავინახე, თუ როგორ მოთავსდა ორ მოზრდილ ადგილზე ერთი ჩასუქებული სხეული, რომელიც ეკუთვნოდა მეტად აუღელვებელი სახის მანდილოსანს. იქნებოდა იგი, ასე 22 წლისა (ამ ორმოცი წლის წინად).

— თქვენ გაცოცხლათ ღმერთმა, კარგად მოვთავსდით! — კმაყოფილებით სთქვა მანდილოსანმა.

— ღმერთის იმედი არ მაქვს, ბატონო, ხოლო თუ თქვენ შემობრალდებთ და როგორმე დამითმობთ ჩემს საკუთარ ბარძაყს, რომელზედაც თქვენ ზიხართ, ძალიან დაგიმადლებთ, — მე იგი ძალიან მესაჭიროება. — ვევედრები ქალს.

მალე დავრწმუნდი, რომ ადამიანს ბევრის ატანა შესძლებია. მანქანიდან, რომ გამმოვედი ისე ვიყავი გაუთოებული, რომ „პაპას“ ვეღარ ვამბობდი.

ყოფილ ბალდათში გაცხოველებული ტემპით სწარმოებს კეთილმოწყობა.

ქუჩებში ხმაურია. გახურებულია გუდრონიერება.

მზიანმა ამინდმა სათანადოდ მომასულიერა. ზოგიერთი ადამიანური თვისებებიც დამიბრუნდა.

მაგალითისათვის, მომშივდა და როგორც ქვევით დაინახავთ წყალიც მომწყურდა. სასადილოს საძებნელად შორს არ დამჭირვებია წასვლა. ყველაფერი ერთ წერტილზეა თავმოყრილი ამ დალოცვილ სოფელში.

— ლობიო ამოლესილი გნებათ თუ ამოლესილი?

— შე კაცო, მოითმინეთ, იქნება ჩვენ მწვადი გვიჩვენია!

— თქვენ კი გირჩევნიათ, ძმაო, მაგრამ ჩვენ დღეს სხვა არაფერი გვაქვს.

— უზრდელები! — ესთქვი და მეორე სასადილოს მივაშურე. მცვრიან მწვადებს ბოლი ასდიოდა... შეექცეოდნენ და ტუჩებს ილოკავდნენ.

პირზე წერწყვი მომადგა.

— აბა მწვადი, ჩქარა მომაშველეთ!

ოფიციალტმა დაცინვით გადმომხედა.

— რა დაგიწყეტა თვალები! მწვადი მეთქი ჩქარა.

— პირს დაგწვავთ, ყმაწვილო!

გამოვარკვიე, რომ მოსადილებს ამ სასადილოში თვითონვე მოაქვთ პროდუქტები იქვე მდებარე საკოლმეურნეო ბაზრიდან.

მზარეული ერთ მოსადილეს ეჩხუბებოდა: — რომ მოგიტანია ეს სამწვადე, ხახვი ან მარილი არ უნდა ამას?!

— მარილი ცოტა მიყრია ჯიბეში გუმინდელი დარჩენილი, ხახვისათვის კი ახლა არ მცალია. შეწვი უხახვოდ!

— უხახვოდ არ გამიგონია მე.

— აბა კაცო, ის კი ვაგიგონია, რომ ხალხს სამწვადე თვითონ მოჰქონდეს სასადილოში?!

იმ დამეს სასტუმროში მოვიგენე და კინაღამ განვუსვენე...

— კაცო, როგორ მოახერხეთ ამდენი ჭუჭყის ერთ ოთახში მოთავსება! — ვეკითხები სასტუმროს გამგეს.

— ძალიან მარტივად, — გვიპასუხებს იგი, ამ ზამთრის პერიოდში ჩვენ შევინარჩუნებთ ამ ჭუჭყს გათბობის თვალსაზრისით.

იმ დამეს გათბობის თვალსაზრისით მეც ბალდათურის ცეკვა დამჭირდა.

შუალამზე შეშლილივით გამოვიჭერი გარედ.

მე გამახსენდა მიაკოვსკის:

„...И в долгу перед вами, багдатские небеса!...“

პოეტებისათვის მიმინდვია ცის ლაყვარლების შეფასება.

მე კი მართო შევსძახე: — ახ, რა კარგია, რომ ამ მშვენიერი ცის გაფორმება ბალდათის კოოპერაციის მუშაკებზე არ არის დამოკიდებული.

— და ახ, — ვუმატებ მე ჩემს გუნებაში, — რა ზედმეტია აქ აღწერილი წვრილმანი უხერხულობანი სოფელ მიაკოვსკის კეთილმოწყობის საერთო ფონზე...

გენო ლიამა.

## ნახ. მირზაშვილისა კორილორი



— მითხრეს თურმე — ახალ ბინაში გადადინარ.

— გადავდივარ, მაგრამ არ მომწონს, კორილორი არა აქვს.

— დაანებე თავი მაგ წვრილმანს, ხომ გახსოვს პოლონეთის მთავრობამ კორილორის გულისათვის საკუთარი ბინაც დაკარგა.





დილის 8 საათი იყო, როცა წყალტუბოში მანქანით ჩავიქროლე და პირდაპირ „უღოსის“ სანატორიუმში ამოვყავი თავი. ეხლა კი კუდიტ ქვას ვასროლინებ ჩემს სხეულში მოკალათებულ მოუპატიებელ სტუმრებს მეთქი—გავიფიქრე გულში და დინჯად შევაბიჯე შენობაში.

### ღამე საყინულეში

ღამე არავის გაუძარცვივართ, თუმცა არც ერთ ოთახს არ ჰქონია გასაღები, მხოლოდ ყველასაგან მიტოვებულნი, სიფრიფანსა საბნებში გახვეულნი, ხომლის მთებიდან მონაქროლ სიცივეს შეგახებულნი, და კბილების რაკრაკისაგან შექმნილ საუტხოვო მუსიკით ალიონამდე ვსტკებოდით.

### ჩივი უკვდავების წყაროსთან

ის ის იყო ჩათვლემას ვაპირებდით, როცა დერეფანში ერთი აურზაური ატყდა. წამოვვარდი გავიხედე და ჩემს წინ უშველებელი რიგი გადაჭიმულიყო. სიმშვიდე დაურღვია ვიღაც ახალგაზრდას, რომელიც ჭიქურ შევარდნილიყო ამ ახლგავებულ ხალხში და პირის დაბანა უჭეროდ მოესურვებინა. განსაკუთრებით ერთი მოხუცი იყო გამწარებული, რომელსაც თურმე რიგი ღამის ორი საათიდან დაეკავებინა. საათს დაეხედე, დილის შვიდი იყო. წყალს რვა საათზე გამოუშვებენო—მიტხრეს და პირისსახანც მხოლოდ ერთი.

გამოვთვალე—მე უკვე მეორმოცდაათე ვიცი. გამოვიანგარიშე თითოზე საშუალოდ ხუთი წუთი და ზუსტად ხუთი საათი უნდა ვმდგარიყავ, რომ დაბოლოს მეც დაემტკებარიყავ უკვდავების ცივი წყაროთი. პირსახოცს ხელი წამოვავლე, და დილის რიყრაცზე წყალტუბოს ტბისაკენ ვქენი პირი.

### ეჭიმი გინეკოლოგი

მეორე დღეს ეჭიმის კაბინეტს მივადექი და რადგანაც ვერ გამოვარკვეე თუ როდის იყო მიღება, ორიოდე საათი აქეთ-იქით უტრიალე, ბოლოს არაქათ გამოლეული ვიღაც ქალმა შემიცოდა, მეორე ოთახზე მიმითითა და იქ მიბრძანდით—მიტხრა. კარებთან სიფრთხილით მიველი, აბრას დაეხედე და წარწერამ შემომანათა:

„ექიმი გინეკოლოგი“.

უცრად მოვტრიალდი და ის იყო გაქცევას ვაპირებდი, როცა ის ქალი ცვლავ ჩემთან გაჩნდა და გამიმეორა:—მიბრძანდით, დროს ნუ გვაკარგვინებთო, უცნაურმა აზრმა კვლავ ელვასავით გამირბინა თავში, ჩემს მამაკაცობაში აქამდე ეჭვი არ შემსვლია და ეხლა კი...

—კი მაგრამ, მე ხომ მამაკაცი ვარ და...

—არა უშავსრა სულ ერთიანო—და კაბინეტში შემავლო.

—ნუ გრცხვენიათ ახალგაზრდავ, გულის ცემის მეტს არაფერს გაგიმჩინავთო—შემომავება წყნარ ღიმილში ჩაქსოვილი ჰაეროვანი სიტყვები ახალგაზრდა ცოფონამი და ჩემი გულის ცემაც ერთიორად აამჩქეფარა.

### კისრის მოტენა

ნასადილევის აივანზე გავისეირნე... სიამით გადავყურებდი წყალტუბოს მიდამოებს, შორს თოვლით შევერცხლილ მთებს, საუცხოო გამსჭვირვალე ჰაერს და ის იყო ლექსის წერის ექსტაზში შევედი, რომ უეცრად ფეხი დამიცურდა და მინგრეულ-მონგრეულ ფიცრებზე ბრავგვანი მოვადინე.

—კიდევ კარგი, რომ ღამე არ გამოხვედი, თორემ ამ ადგილს კისრის მოტეხა ორი ერთ შაურად არისო—მანუგემეს.

მესამე დღეს კულტომომუშავემ ყველანი ეზოში შეგვკრიბა, მხიარულად მოგვესალმა, შემდეგ ნიგვზის ძირში მიდგმულ სკამზე შეხტა, ხელი შორს გაიშვირა და რიხიანად დაიწყო:

—აი, ამხანაგებო, შორს რომ მღვეები-ვით მოსჩანან ხომლის კლდეები, იმის გვერდით ცოტა მოშორებით გვირახია, რომელიც აქედან არ სჩანს, ახლოს რომ შეგუბებული წყალი მოსჩანს, ის წყალტუბოს ტბაა, კარგა მოზრდილი სიღრმისა, სადაც თუ კი სურვილი გაქვთ, იოსკა ფოტოგრაფი წავიყვანთ და სურათებს გადაგრილებთ.—ხომ გესმით?

—გვესმის, როგორ არ გვესმის.

მაშ ასე, ამ საუცხოო შენობებს, რომ ხედავთ, ეს სანატორიუმებია, სადაც ათასობით თქვენისთანა ავადმყოფები ისვენებენ. ქვევით აბაზანებია, მარჯვნივ ბაზარი, იქით კიდევ ბიბლიოთეკა, აქეთ ქალაქის სადგური, ფოსტა, სოიუზტრანსი და სხვა. ესეც ხომ გესმით?

—გვესმის და გულზე ვიწერთ სულ.

—მაშ ასე, ამის შემდეგ ნება მომეცით, ამხანაგებო, თქვენი თვრამეტი დღის გართობის პროგრამა ამით ამოვსწურო და კეთილი მკურნალობა ვისურვით—დაამთავრა კულტმუშაკმა, ყველას ღიმილით გადმოგხედა და ზოგს ხელიც კი ჩამოართვა.

### ავად გახდომა, ერთი გარდაცვალების ამბავი და ჩემი გამოქცევა

მესუთე დღეს ამხანაგი გავიხდა ავად. წელი მთლად გაუკავდა და ისეთი ტკივილები აღეძრა, რომ ცივი ხმით კიოდა. ექიმმა გულისცემა გაუშინჯა, ნუ გეშინიაო—უთხრა, თანაც ოთხი ფუნტილი ქინაქინი გამოუწერა და წავიდა. დანარჩენი პროცედურა სიცხის გაზომვით გრძელდებოდა, ავადმყოფი კი უარეს და უარესად ხდებოდა.

ერთ დღეს სანატორიუმის თანამშრომელი კვლავ გვეწვია, ავადმყოფს მოუხუტევა, სიკვდილზე ფიქრიც ნუ გაქვსო.

—როგორ, განა აქაც კვდება ვინმე? — იკითხა გაოცებით ავადმყოფმა.

—რატომ არა, თუ, მაგალითად, ანგინა შეხვდა კაცს,—დამშვიდებით მიუგო ექიმმა.

—მერე განა შეიძლება აქაც ანგინა შეხვდეს კაცს?


—რატომ არა, თუ კი ყელი ასტკივდა? — უფრო დამშვიდებით განუმარტა მან.

ეს იყო და ეს, ჩვენს ავადმყოფს გული წაუვიდა, მე კიდევ უეცრივ ყელი ამტკივდა, ზეზე წამოვვარდი და ვიკივლე:

—არქა მიშველეთ, აქ არ განუტევეო ჩემი უმანკო სულიც მეთქი და ქუდმოგლეჯილმა მოვკურცხლე თბილისისაკენ.

ნახ. მიხ. ლებეშვიცა

### მოულოდნელი ჩიქნა



—რა მოგივიდა კაცო, რატომ გაქვს ასე მოწყენილი სახე?  
—მაშ რა იქნება, ეს-ეს არის თბილისის კინოსტუდიის მიერ  
გამოშვებული კინო-ფილმი გვიჩვენებს.

პიტიპო.






ნახ. ბორ. ეფიმოვისა



ბორ. ეფიმოვი - 40

—ვატუობ, ნერვები საკმაოდ შემერყა, ჯემს, მადრიდის, ვარშაგისა და ნარვიკის ბომბარდირებას ვაჟკაცურად ვიტანდი, ბრიუსელისა და როტერდამის განადგურებამ მადაც კი ვერ დამიკარგა. ლონდონის ბომბარდირება კი—რატომ-ღაც მანევრიულებს.





—შენი ქირიმე, გამიშვი, ეს პირველი შემთხვევაა, როცა გა-  
დამყიდველობას ვეწევი.

— სწორედ იმიტომ არ გაგიშვებ, რომ ახალი ყოფილხარ, თო-  
რემ ძველ გადამყიდველებს ყველას ვიცნობ და ვერიდები კიდევ.

აქებდნენ, ღიოსიც ყოფილა  
ინდუსტრიალურ ტყიბულსა,  
მკერდანთებული ბიჭებუ  
ნახშირს აცლიან მთის გულსა

ლამაზი სანახავია  
ახლად ნაგები ქალაქი,  
მატარებელი, რომ მოჰქრის  
ნატვირთი მთების ბარაქით.

მალარობის სასტუმრომ  
უძილოობა მავებმა,  
კინალამ ფეხით გაშთელეს  
სპილოსოდენა თავებმა...

ღრიჭინით გამომაყრუა  
ტახტად შეყრულმა რკინამძ,  
და ერთ პატარა ოთახში,  
თორმეტი კაცის ხვრინვამა.

აბანო მოვინახულე,  
ღვას დამპალ თავსახურითა,  
შიგ წყალი ჩადის წვიმის ღროს  
თავს ვერ უშველი ცურვითა.

აგტობუსები გვექნება  
შარშან ამბობდენ კვეხნითა  
მაგრამ მუშები ცენტრამდის  
ღღუსაც დადიან ფეხითა.

პ. ბლიაძე.

## ჩოხაგაურის რამე-რუბე

(გურია)

ჩოხატაურში ბჭობაა:

—რა იქნენ ნიანგელები,  
ბასრ კალმოსანნი, ჩაუქნი,  
მებრძოლნი ძველის-ძველები?

ერთი ჩაფსკვნილი, მეორე—  
სულ პაწა,—ერთი მტკაველა,—  
ყველა მკითხველმა იცოდა  
„ოსმან-ალა“ და „წაველა“.

მათმა უდროო დაკარგვამ  
შეგვეყარა სიმწუხარესო,  
ბევრი დაგროვდა საჩანგლე  
ჩოხატაურის მხარესო:

„გზატრანის“ ავტო მოგვანატრდა,  
ხედავთ მის უთავბოლობას?

აფთიაქ-სამკურნალოცა  
ზეიმობს უკონტროლობას.

ერმალო, ვანო, შერმანდი  
და ჩხუბისთავი ალექსა,  
ყველა შეჰხარის თავის ბედს  
ღღემდე, რომ არვინ გალექსა.

სამუშაო საათებში  
რესტორანს ესტუმრებიან,

ნუნუას ჭაშნიკს სინჯავენ,  
თან ზორბად შეხურდებიან.

ნეტავ სად არის კონტროლი,  
ან აღმრიცხველი იმისი?—  
პროკურორს ვკითხეთ, ის ამბობს:  
„თვით უნდა ჰქონდეთ სინდისი“.

მსურდა, რომ ბანკიც მენახა  
და მისი დირექტორია,  
დებეტ-კრედიტი, ბალანსი  
დედანთან თუა სწორია?

განახლებისკენ წასვლისას  
გქონდეს ავტოს რილია:  
კაცს მოჰკლავს, პასუხს არ აგებს,  
ცოდვა ფეხებზე ჰკიდია.

გაღმა ათწლედი—ამ შვიდწლედს  
წააცილებს ბევრად ფგონებ:  
გასწავლებლის დაკვივლებას  
ბახმაროში გაიფონებ.

ხმაურობა და ყვირილი  
აქეთ ლახტი, იქით შუბი,  
პედაგოგს და მოწაფეებს  
გაკვეთილზე მოსდით ჩხუბი.

კოოპერატივზე ამბობენ  
ეს კოლექტივის ქალები:  
—ნოქარს და „ვიწრო ჯგუფს“ ხვდება  
თუ რამ მოვიდა კარგები.

მსურდა არტილიც მენახა  
და მისი ანგარიშები,  
აღრიცხვასა და ბალანსში  
ხომ არ ჩანს გრაბის ნიშნები?

კოლექტივს სასადილო აქვს  
„კენკეა“ მისი სახელი,  
გაღმა სოლომონს, აქ—ეგტის  
არავინ უჩინო მძრახველი,

მათი ფასები ისე სჭირის  
ვით მაკრატელი თერძისა,  
თუმც დაბალია ხარისხი  
და თან ულუფა კერძისა.

აქ წერტილს დავსვამთ, თუმც ნაკლი  
სხვაცა გვაქვს მოსათვალები,  
ნიანგო, ჩოხატაურშიც  
გვესტუმრე, გენაცვლები.

მეგაბა.



დასვენების დღე თენდებოდა. თბილისიდან მიმავალ მატარებ-  
ლით 9—11 წლის გოგო-ბიჭების იუნდი მიდიოდა.  
ეტყობოდა ექსკურსიაზე მიემგზავრებოდნენ.  
მათი ყიჟინა და სიცილ-ხარხარი მთელ ვაგონს აცოცლებდა.  
— ქეთო დაუცარი! დაამღერე შენებურად!— მიმართეს ერთერთ  
ამხანაგთაგანს, რომელსაც გვერდით გიტარა ეჭირა.  
ქეთომ „მორცხვად“ დაამღერა:

„არ გავთხოვდე, არ იქნება,  
გავთხოვდე და რითი,  
შეყვარებული გამიქრეს,—  
არ მიყიდა ჩითი.“

მაყურებლებმა მხიარული სახე მიიღეს.  
ქეთო წახალისდა.

აბაშაში ვაშლი გჭამე,  
ქუთაისში ვაშლის ჩირი,—  
ათი შეყვარებული მყავს,  
მანც არ ვარ კმაყოფილი.  
მიაო! მიაო!  
ჩემო ფისუნიაო“.

გახარებულმა გუნდმა თვალების „კოლექტიური“ დანაბებით  
ჩამოართვა უკანასკნელი ტაგები და სივრცეში გაიშმა ხმავეწყო-  
ბილი ჰანგები:

„მიაო, მიაო  
ჩემო ციციუნიაო“.

ექსკურსანტებს მდუმარედ ხედებოდა და აცილებდა ზაპუსის  
მონუმენტალური ნაგებობანი, მცხეთის ისტორიული ტაძარი, წა-  
წამურის გზა, არმაზის კალთები, კასპის ქარხანა—გიგანტი, გორის  
ციხე და მისი კალთები თავის საამაყო აწმყო წარსულით, რომელ-  
თა შესახებაც ერთ სიტყვასაც არ სძრავდა ექსკურსიის „ხელმძღვა-  
ნელი“. წარსულისა და აწმყოს დიდი მონუმენტები ღუმდნენ,  
გუგუნებდა მხოლოდ ქეთოს რეპერტუარი... რომელსაც ხელმძღვა-  
ნელის აზრით, აღმზრდელობითი მნიშვნელობა ჰქონდა.

### შედეგი

ბელეტრისტი ალექსანდრე ბუხუთელი დამწყებ მწერალ-  
თს სალიტერატურო წრეში გატაცებით ამბობდა:

— მწერალმა სისწორით უნდა ასახოს სინამდვილე. მან გარდა  
დეტალების სიმართლისა უნდა მოგვეცეს ტიპური ხასიათები ტი-  
პიურ გარემოში, ამაზე მიგვითითებენ უდიდესი მეცნიერები. და-  
კვირდით ფრაზას „გარდა დეტალების სიმართლისა“—ეს იმას ნიშ-  
ნავს, რომ მწერლის ფანტაზიის მიერ წარმოდგენილი, ან მოგონი-  
ლი დეტალიც კი საბოლოო ანგარიშში სიმართლეს, ცხოვრების  
სინამდვილეს უნდა სახავდეს. ავიღოთ მაგალითად ლექსის ნაწყვე-  
ტი:

„შენ ხავერდის ყვავილი ხარ,  
ხან ტკბილი და ხან კი მწვავე,  
შენ ნუკრი ხარ, ლალი ნუკრი  
ზღვის ტალღებზე მოხტუნავე.“

— მოცეკვავე, — გაუსწორა ვილაცამ. — და საერთოდ ავტორს ევ  
ლექსი სხვაგვარად აქვს დაბეჭდილი.

— სულ ერთია! აზრი მაინც ასეთია. რა დამართება ნუკრს  
რომ ზღვის ტალღებზე იცეკვოს? ხომ დაიხრჩობა, განა შეიძლება  
დასახრჩობად გამზადებული საცოდავი ნუკრი ლალად წარომეიდ-  
გინოთ?


— შეიძლება ავტორი ზღვის ნაცვლად ტბას ასახელებს, ან იქ-  
ნებ ნუკრი ზღვის ისეთ თხელ ნაპირზე ბანაობს, რომელზეც ორი  
წლის ბავშვსაც შეუძლია თავისუფლად იცუტუშალოს. — არ ნებდე-  
ბოდნენ მსმენელები, რომლებიც ბუხუთელის ძირითად დებულე-  
ბას საეხსებით იზიარებდნენ.

— ერთი სიტყვით, ევალება სისწორით ასახოს სინამდვილე,  
წინააღმდეგ შემთხვევაში... წრესთან მეცადინეობის დამთავრების  
შემდეგ ბუხუთელი თავის ოთახში დაბრუნდა და თავის რომანში  
დაწყებულ პეიზაჟის გაგრძელებას შეუდგა:


„დალამდა...“

მთელი მიდამო ისეთმა მდუმარებამ მოიცვა, რომ საფლავი-  
დან მიცვალებულის გულისცემა ისმოდა...“.


მეფუცა.



1  
ახალ აბრასა სწერდა,  
არხინად და მშვიდად,  
საწერი ობიექტით  
გართული იყო ღიდად.



2  
ჯირითი უყვარს, ყმაწვილს,  
მიდის ქარივით მიჰქრის,  
თან მიაქვს ნაბახურევს  
მწვადის და ლუდის ფიქრი.



3  
სარტომორტალე მოხდა,  
მაგრამ რა ვნახე აქ მე?  
ორმა „მხუხავმა“ დინჯად  
განაგრძო თავის საქმე





ატატო: ბეჩა მადლობა ღმერთს, რომ მშვიდობით ჩამოვით. იცოდენ ხმას არ გაგცემთ, რომ არ ჩამვიშობოლოთ აგერ და არ დამიკაკლოთ იგი მოსკოვის ამბავი. რავე იმგზავრეთ, რა ნახეთ, რა გვიგონეთ, რაველი გზები და სოფლები შეგზდათ იქინე?

აკვირინე: რალა უნდა მოგიყვე ატატო ჩემო? სეიდან დევიწყო არ ვიცი: აქედან თუ იქიდან, თავიდან თუ ბოლოდან, ვხლა დევიბადე მგონია, აგი ჩემი ყაისარეც ისეა გალურსული, რომ, სიზმარი იყო თუ ცხადი, აღარ ვიცი, მადი ყაისარა, შენ დევიწყე ბიჭო უფრო კარგად ჩამოკაკლავ ყოლიფერს.

ყაისარი: არა, შენ მოყვე და თუ რამე გამოგრჩება, აგერ არ ვარ მერე მეც?

აკვირინე: გვედით თუ არა ბეჩა, თბილისიდან — ვიყურები და ვიყურები ვაგონიდან, აგერ მატარებელი ჩოქროლებს სტანციებს, ეგერ-აგერ მოსჩანა ტყეები, მერე მინდვრები, მერე ისევე ტყეები, ისევე მინდვრები, გვიხედე, დალამდა: ავდექი და მივწყვი. მივწყვი და მივლოლე თვალეები, მარა ერთი კვკალი ძილი არ მიეკარა შენს აკვირინას, რავარც იყო გავათენე, ვაგონში ზოგი ხვრინავს, ზოგი ლაპარაკობს.

გვეხედე, ჩემი ბატონი შენ ხარ და მივაწიეთ ბატოს, რომ გადავხედე ამ ფანჯარას ქე შემომეფეთა ზღვაი. ზღვაი და ზღვაი, დედა, რამხელა, თვალს ვერ გადაარებ. ეგერ იქით ნავთის კოშკები და კოშკები, აკარავებდენ და აკარავებენ ნავთს, ბენძინს, მახუთს, სადაა ახლა ჩვენი ტრაქტორები თქვა ვიფიქრე, აავსე და ავუგუნე რამდენიც გინდა... გავცილდით ბეჩა ბატოს და კიდომ ზღვაი, მერე მუხნარი, ნაძვნარი, ფიჭვნარი და რა ვიცი რამდენი ერთი ჩამოვთვალა.

ატატო: — მერე, მერე?

აკვირინე: მერე ბეჩა, მეც ქე დამელულა თვალეები და ქე მიმეძინა.

ყაისარი: მერენდელი მე მკითხე. ჩემზე ნაკლებ ძილის ბირი არც ჩვენი აკვირინე ყოფილა. კასპის ზღვის ნაპირები ისე გვიარეთ, რომ მგვას აღარაფერი უნახავს. ვხედავ აგერ გვიქნევენ ხელებს ყახახები, ქალები, კაცები. დევიწყო თურმე ყახახების სოფლები, ანუ სტანიციები, გაუდის ტრაქტორებს გუგუნე, მიდის დროგები სრიგინით, ცხენები ბრიგინით, ავტოები ლიწილიწინით, — ზოგს ბური მიაქვს, ზოგს თივა, ზოგს მზისუმბირა.

აკვირინე: მერე მეც ქე გამომეღვინა და მე გაგაგრძელე ლაპარაკს. მიუახლოვდით ბეჩა მოსკოვს, ნაძვნარი, ხელნარი, ტყეები ისე ლამაზი და კაი, რომ ბაზმარო გამახსენდა.

ატატო: — რავე ბოშო, მოსკოვში ხეი კეთულობს თუ?

აკვირინე: რავე გეკადრება ატატო ჩემო, ხეი კი არა ერთ ხის ნაძვში ერთი საყადელი შეშა დადგება. მივედით ატატო მოსკოვში თუ არა, აუარებელი ხალხი მიდის, მიდის, ტრამვაი, ავტონობილი, რაცხა ტროლეიბუსი, დიდი აბტონობილები, ჩამოვბრით, ყველგან წესრიგი და სიჩუმე. მივედით ბეჩა და რომელიც კი ავტონობილი იყო, იგი დავაზვედრეს იქინე. ჩავჯექით, მივედივართ, მარა სად მივედივართ. ერთი ქუჩას გვეივართ, მერე იწყება, მერეს გადავსერავთ, მესამე იწყება. შემდეგ უცბად გაჩერდა აი უზარმაზარი ანტონობილი და ჩავვიყვანეს რაცხა მეტროთა.

ატატო: — იქაც მეტროთი ზომავენ არა?

აკვირინე: ხა, ხა, ხა, ხა... ბეჩა მიტკლის საზომი მეტრო კი არაა. ჩახვალ მიწის ქვეშ, შედგები ორეფეხით იმფერი კიბესავით რაცხა გამოგვიარს და მიხვალ ქვეით ქვესკნელში — სლიკინით.

ატატო: — ნუ გადამრიეთ ბეჩა.

აკვირინე: ჩვედით ამ ქვესკნელის მიწაში და გვეიხედეთ და მოდის რაცხა და მუაქვს ყველაფერი. ივივლა და გაჩერდა. გაჩერდა მარა ისეთი ლამაზი ვაგონები რომე თავი დამავიწყდა, ყველგ კარები მისით გვიღო გამევიდა მარა რა გამევიდა, რამდენი გამევიდა, ასი კაცი მაინც იქნებოდა?

ყაისარი: (უსწორებს) ვხლა კი დეიბენი: ასიც იყო და ათი ათასიც.

აკვირინე: ჩავჯექით ბეჩა შით. გაფრინდა მარა რა გაფრინდა. გვეიხედეთ. და მოსკოვის ბოლოში ამოყავით თავი. მივიტანეთ რავარც იქნა სული იმ სასოფლო საშურნო გამოფენაზე, ბეჩა ვხედავ, მარა რას ვხედავ

არც მე ვიცი რას ვხედავ. ლამაზი შენობები, კაი მოწყობილი გამოსაფენი შუშბანდები, ლამაზი ბაღნარები. კომბინები, აგერ ძროხა იყო იმხელა, რომ ერთი მოწყველაზე ერთ ვედრას გაავსებდა.

ატატო: ჩემს პაწიე ძროხას კი არ გვანებია, ქე მიმიგლო ბეჩა ხბოი წუხელის.

აკვირინე: ქათმები ვნახე ბეჩა, ქათმები, აი ჩვენი დედლები ჭუჭულადაც არ გამოჩნდებოდა იმასთან. იმხელა ღორი ვნახე ბეჩა, რომ ჩვენ ფაცხაში არც კი შეიძარებოდა.

ატატო: — ბეჩა საჯიშეთ ვერ წამეძღვანე ერთი?

აკვირინე: იმ ღორს ბოშო, ერთი ნალიე სიმინდი ხუთ ჭამაზე არ ყვოფა. დედა რა ცხენები, რა კვიციები, რა საქონელი, რა ხილი. ბეჩა — მანდარინების ბალი ვნახე ბალი.

ატატო: კაი შე ქალო! იქინე მანდარინის ბალს რა უნდოდა?

აკვირინე: — იმფერი მოყვანილი აბრეშუმი ვნახე, რომ, ქე შეგხარბა. რა მიღწევა ყოფილა ამ ჩვენს ბარაქიან ქვეყანაზე. სასოფლო სამეურნეო გამოფენიდან მთელი ქალაქი შემოგვარონიეს. მარა, რაც იქინე სანა-

ხავები ვნახეთ, ატატო ჩემო, გახეთქილ ხარ ჩვენი ციცი კი დაბლა ჩამოუტანიათ იმ დალოცვილ მოსკოვში, ერთ შენობაში შეგვიყვანეს და დახუნდა. გაჩნდა ვარსკვლავები და მთვარე — ქალაქები ბუნების ძალებს ვთხოვ ნერვები დამიწყნაროს — ბეჩა რა ვნახე რა, 15 სათუღიანი სახლები ვნახე.

ატატო: — ნუ გადამრიეთ ბოშო.

აკვირინე: აბა, მაი რათა, ზღვა ვნახე ბოშო, შით ქალაქში, ზღვაი.

ყაისარი: მაი რაია? რავარც ჩვენში დაფრინავს აი ბელურები, ისე დახვანცალობენ შიგ ბარახოდები, ნავები, ყვინთავდენ ბიჭები და გოგუნები.

ატატო: ერთად, ბეჩა ყაისარ?

ყაისარი: აბა გასაყოფი რა აქვენ? მარა რაცხა გავგიგრძელდა, ახლა ჩვენ დალილები ვართ და დანარჩენს მერე გეტყვით ჩვენს ჩაბეჭდილებას.

ატატო: — დიდი მადლობელი ვარ, ჩემო აკვირინე და ყაისარ, მართალია, გამოსკოვებულები ქე ხართ, მარა, რომ დეისვენით, გადმეიარეთ ფლანქე და კიდომ გვიამბეთ იი იქოური ჩაბეჭდილება.

ქვემოთ

### ს ა ნ ი ა ნ გ ლ ქ რ ო ნ ი კ ა

#### სარეპორტო. სისწრაფა

ქ. ცხაკაიადან აბაშაში გაგზავნილი ელვა დეპუტა ელვის სისწრაფით ჩავიდა დანქმულ ადგილზე, — ცხაკაიადან აბაშამდე — რადაც ხუთი დღის განმავლობაში დასჭირდა, რაც სისწრაფის არაჩვეულებრივ მოვლენად უნდა ჩაითვალოს.

#### სანახაობანი მგზავრებისათვის

რკინიგზის აბაშის მადგურის მორიგე იობაია და სადგურის მეტოფეტე გვილავა გულმოდგინედ იბრძვიან მგზავრთა მომსახურებისათვის: დღეში რვა წყვილ ხულიგანს აშველებენ რითაც მგზავრებს უქმნიან გასართობ სანახაობას.

#### ინტრიგა

აბაშის ქალაქის საკოლმეურნეო ბაზარში აღმოაჩინეს ერთი სსუფთა მავიდა. აღმოჩენამ მომხმარებელთა დიდი ინტერესი, ხოლო — ბაზრის ხელმძღვანელთა უდიდესი აღშფოთება გამოიწვია: უკანასკნელი ფიქრობენ, რომ ვილაცამ ინტრიგის მიზნით მოაწყო ეს ამბავი და ცდილობს სისსუფთავის დაცვისაკენ მოუწოდოს, მაგრამ ინტრიგა არ გავა.

#### მოგონების საღამო

გუმინ საღამოს 8 საათზე შესდგა მეორე ინტოფის კლუბის აწ განსვენებულ ბულო საამკითხველოს ხსოვნის საღამო. საღამოზე გამოსულთ ამხანაგები აღნიშნავენ განსვენებულის დამსახურებას. ეს, იმაში გამოიხატებოდა, რომ მის კარებზე ჩამოკიდებულნი დიდი ბოქლომი გარედან შიგნით არ უშვებდა მკითხველებს, ხოლო შიგნიდან გარეთ გამოსვლის საშუალებას არ აძლევდა თავებს.

#### ზრომის ნაყოფიერების განრიგი

აბაშის რაიკავშირის სასადილოოს თანამშრომელმა ვალია ლევანოვამ შეადგინა მუშაობის ახალი ვანრიგი. ეს ვანრიგი იმითაა შეპანიშნავი, რომ შრომის ნაყოფიერების გაჭიანურებასთან ერთად, ზრდის მომხმარებელი მოთმინებას და მომჭირნეობასაც.

ძირითადი პრინციპი განრიგისა ასეთია: მოსადილეს შეუძლია მოითხოვოს რაც უნდა, ვალია კი მიუტანს — როცა უნდა, ანუ: საინს — ერთი საათის შემდეგ, დანა-ჩანგალს საათნახევრის შემდეგ (გამონაკლის შემთხვევაში შეიძლება 2 საათისაც), სადილს — საათნახევარში, ხოლო პურს — სადილის გაციების შემდეგ.

დრო იმ ვარაუდით არის განაწილებული, რომ მოსადილეს შეუძლიან სადილი — ვანშის დროს მიიღოს და ამით თავიდან აიცილოს ვანშის ხარჯები.

პ. ინტოფელი.





## მნარა არჩეული

გიორგიშინდის (საგარეჯოს რაიონი) სასოფლო საბჭოში, ბერიას სახელობის კოლმეურნეობას 56 ძროხა და 100 სული ცხვარი, უბინათა და უსაკვებოდ ჰყავს დარჩენილი.

თ. გ.-მე



—სულ ეს არის, შვილებო, ან ვკამოთ, ან ცეცხლი მოვუკიდოთ და გავთბეთ. რომელი გირჩევნიათ?

## შესაქალაქალი შემთხვევა

ნატანების ჩაის საბჭოთა მეურნეობის სასადილოს თევზები არ გააჩნია.

დ. ი.-მე




—ცოტა დაუჩქარე, ბიძია, დრო რომ არაფლად ჩავადლოთ, ხელები გამოყინა მაგ ბორშჩმა!

## საშუალაზა გამონახა

ფოთის პედსასწავლებლის მოკადრაკეთა წრეს არცერთი კადრაკი არ გააჩნია.

მიჯაე



—შურიკო, შენ ტურა ხარ, ძუკუ პეშკა იქნება, ერთ ხელს წავითამაშებთ და შემდეგ თავისუფალი იქნებით.

## ფიზკანიშენა

ანაგის (სიღნაღის რაიონი) საშუალა სკოლაში ჩაშლილი ფიზკულტურული მუშაობა

კ-ლი



—ამაზე მეტი ფიზკულტურა რაღა უნდა იყოს!

## გამოუვალი მღვთაარობა

სოფ. ჯინახარის (ზუგდიდის რაიონი) კოლმეურნეობაში მგალობელს არ უვლიან.

ზიზე




—რა უნდა ვუყო ამ უჯიშო ხეხ, ძირზე კი მოუვლი, მაგრამ ახ მეტრზე რომელი ჰაეროპლანით ავიდე!

## საყვარული

სოფ. ახალუბნის (ხაშურის რაიონი) კოლმეურნეობის გამგეობის წევრებმა იაფ ფასებში შეიძინეს უხარისხო მატყლი და სახელმწიფოს ჩააბარეს. კოლმეურნეობის კარგი ხარისხის მატყლი კი თითონ გაინაწილეს.

ო. ბ.



ნამდვილი ცხვარი—ქვეყანას თუ კი არ მოახმარდით, ვინთმ მე ნაკლებ მიხედვოდა ეგ ქურკი?





## რაიფოსტას დავუჩაქე...

(ხალღადასათვის)

რაიფოსტას დავუჩაქე,  
 ვთხოვე ღიმთან შეერთება,  
 მიპასუხა:—„შნური“ არ გვაქვს  
 და მეონია არც გვექნება.  
 — მაშ ოზრას დამაკავშირეთ,  
 ვგონებ არ იყოს ძნელია!  
 — კომუტატორი არ ვარგა,  
 ჩვენ მით გვემლება ხელია;  
 ვირჩევთ ქვეითად წახვიდეთ,  
 გამოძახება ძნელია.  
 მონტიორი გვყავს ჩვენ „სპეცი“  
 ერთი ჯეელი ბიჭია.  
 ტელეფონს დაშლის, მაგრამ მას  
 არ აქვს აწყობის ნიჭია.  
 ჩვენს გამგესაც ყურზე სძინავს,  
 არაფრად სთვლის ამ ამბებსა,  
 ალბად ფედის თუ ნიანგი  
 ჩანგალს როდის ამოსდებსა.

გი—ლა

## ჩვენი მუჰის „რაქორდები“

(გაგრის რ. კოლხიდის ქართ. სრული. საშ. სკოლისათვის)

ჩვენმა მუჰმა მუშაობის  
 „რაქორდები“ დაამყარა.  
 დაიწყო და ერთი-ორჯერ  
 მოხსენება ჩატარა.

მაგრამ შემდეგ მიიძინა,  
 ღმერთებს თავი დაანება.  
 ზის უსაქმოდ, მოწყენილი  
 და ამოქნარებს ნება-ნება

არ ღებულობს თვითკრიტიკას,  
 მაგრამ ჰხამს არ გაგვიკვირდეს:  
 „გონიერსა მწვრთნელი უყვარს,  
 უგუნურსა გულსა ჰგმირდეს“.

კოლხიდელი.

## აქ ამგვარი არის საჭმე

(ჭიათურის რ. გზის მუშებზე)

რა საჭმელი, რა სასმელი  
 რა გინდა, რომ იქ არ იყოს!..  
 სპირიტოზი გახლავთ გამგეთ  
 დახლშიც ვხედავთ: ვასოს, ნიკოს!

აქეთ თევზი, იქით გოჭი,  
 კონსერვი და ხიზილალა  
 (ას ორმოცად კილოს ჰყიდდა  
 ვგონებ ძალზე იზარალა!..)

ყველაფერი გემოზეა  
 რასაც თვალს ვადავლებ.  
 ღვინო?! სწორედ „ზედაში“  
 (ვგონებ ყვავსაც დააჩხავლებს!)

ვირჩევნია, ვიდრე შესჭამა,  
 არ იყოს, რა ღირს კერძი..  
 თორემ ნერწყვი გაგიშრება,  
 მოგეშლება მადის ღერძი!..

ას გრამ ხორცში ამატინცლა  
 მე შვიდ მანეთნახევარი.  
 თანაც ხურდა გაიყოლა  
 (ამას დაჩვეული არი).

შევეციოთხე:—რა უფლებით?  
 ესურთ გამლიტოთ, ძმებო, აქ მე?  
 მიპასუხეს:—რკინიგზაა.  
 აქ ამგვარი არის საჭმე!

მატარა გოგია

## ღღეს კინო არ იწნებაო

(ქ. ქელასათვის).

აქ კინო-მექანიკად გვყავს  
 რიქინაშვილი სამსონი.  
 მას ყველა იცნობს ქელაში  
 ბევრიც ჰყავს ძმა და ამფსონი.  
 ბიჭად-ბიჭს ჩვენ წუნს ვერ დავდებთ  
 არ გვინდა მისი მტურობა.  
 მაგრამ უნდა ვთქვათ ამ ვაჟმა  
 არ იცის თავის ხელობა.

მე ამას წინად კინოში  
 შეველ, თან შემეყვა მძახალი,  
 გულით მინდოდა მენახა  
 კინო-სურათი ახალი.

დაიწყო მოგვიანებით  
 და ლენტე გაწყდა ხელადა,  
 ხან გაანათა დარბაზი  
 ხანაც გახდა ბნელადა.

მერე კი გამოგვიცხადეს:  
 ღღეს კინო არ იქნებაო.  
 ამბობენ საჭმე ასეთი  
 აქ ჩვეულებრივ ხდებაო.  
 ნიანგო შენი ჩანგალი  
 ჩვენს სამსონს მოუხდებაო.

„ბიჭიუნა“

## ქოხენსახია

„ბაზარზე გახშირდა სხვადასხვა არტელები მიერ დაბალი ხარისხის ღვინის გამოშვება“.

(კორესპონდენციებიდან)


იან. დონისა



—კაცო, ამავე მარკის თეთრი ღვინო ნაკლები ღირს, ეს წითელი ღვინო კი რატომაც ასე ძვირი?

—რას ბრძანებთ, მაშ საღებავში ფული არ მიგვიცია?





— მივირს, რატომ აწერია ამ ვაგონს მეცამეტე, როცა მთელი საათია გაჩერებასთან ვიცდი და ერთის მოსვლას ძლივს მოვესწარი.

### ჩ ვ ე ნ ი უ ო ს ვ ა

ს. ოს—**შვილს** (თბაქალსი) თქვენი ლექსი ასე იწყება:  
რა ვენა, რა წყალში ჩავარდე,  
რით მოვიშორო შოფერი!  
სახანძრო რაზმში „ბულაობს“,  
ხულიგნობაში ობერი.  
სერგო ჰქვია მას სახელად  
მასთან ვერ ჰკრის ვერაფერი...

ბუმბუკრაში ვინმე კი ყოფილა ის თქვენი შოფერი. ამიტომაც შორიდან მოგივლიათ მისთვის და უფროსთან დაგისმენიათ

დიდხანს ვუთმინე ვაჟბატონს,  
რალა მექნა არ ვიცოდი,  
განვაცხადე უფროსთან და  
დღესაც ვიწვი მისი ცოდვით.

გულჩვილი ადამიანი კი ყოფილხართ.

მე ვთვლიდი მას ამხანაგად  
და მეგონა მეგობარი,  
მაგრამ ის კი არ მასვენებს,  
ირქინება, როგორც ხარი...

ჩვენი რჩევა იქნება, როცა რქენა დაგიწყით, გადაიცვით რაზმის უფროსის ტანსაცმელი, თუ მაშინაც თავი არ დაგანებათ მაშინ ალბად, რომ რაზმის უფროსსაც დაუწყებთ რქენას. ეს კი იმას ნიშნავს „კამერის მარქენალ ხარს რქები არ შერჩება“.

**ფრონელს** (ბორჯომი) ბორჯომის ქარი და წვიმა ძალიან

შეგვარებით და ამიტომაც თქვენ ლექსს ასე იწყებთ:

ქარი ჰკრის, ქარი უბერავს,  
ქარს დააქვს ცაში ღრუბლები;  
ჩვენს სახლმმართველთან დავასა  
მთელი თვეობით ვუნდებით,  
რადგან ბინებში ქარი ჰკრის,  
ჩამოწვიმს სახურავიდან,  
და ჩვენს სახლმმართველს ხუციშვილს,  
რომ აიცდინოს თავიდან  
პასუხისგება ამ საქმის,  
დავეძებთ, ვერსად ვნახულობთ.  
კაცმა არ იცის სად დაქრის.  
მის ხმას ვერ ვისმენთ,—არ ვყურობთ...

ეს თქვენი ხუციშვილი, ერთობ მსუბუქი და ჰაეროვანი უნდა იყოს, თუ ღრუბლების ქულასთან ერთად დაქრის.

ეგებ სინამდვილეში არც კი არსებობდეს თქვენი სახლმმართველი, თუ კი


დაეძებთ, ვერსად ნახულობთ,  
კაცმა არ იცის სად დაქრის,  
მის ხმას ვერ ისმენთ, არ ყურობთ...

სცადეთ ერთი ხერხი: მიმართეთ სისხლის სამართლის მილიციას, ან გაზეთში გამოაცხადეთ სახლმმართველის დაკარგვის შესახებ.

სარედაქციო კოლეგია

რედაქციის მისამართი: ჯორჯიაშვილის ქ. 5. ტელ. 8-74-67







1.—ბომბარდირებს ქალა . . . . .




2. . . . .



3. ქალა . . . . . ქალა . . . . .



4. . . . .



5. ...ქისათვის არავეთარი ზიანი არ მოუყენებია...